პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის ხმა

1932 წ. აპრილი
პარიზი

№ 23

1932 — AVRIL
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა ⠿ «L' ECHO DE LA LUTTE» — Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

კოლექტიურ მეურნეობის დაშლა

(წერილი საქართველოდან)

თანდათან ხშირდება კოლექტიურ მეურნეობათა დაშლა. რა და რა მიზეზები იწვევენ უკვე მოწყობილ კოლმეურნეობების დანგრევას?

აღსრულდა ის, რასაც ჩვენი გლეხკაცობა კოლექტივიზაციის პირველ პერიოდში გრძნობდა: კოლექტივში შესვლამ და იქ კაი ხნის მუშაობამ გლეხი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ სასოფლო მეურნეობის «რეკონსტრუქცია» ფაქტიურად ბატონყმობის დაბრუნებას ნიშნავს თუ უარესს არა. მოყვანილი ჭირნახულის განაწილების დროს ხელისუფლებამ, სხვადასხვა სახელწოდებით, თვითონ წაიღო კოლექტივის წევრების ნამაგარი და ეს უკანასკნელნი მშიერ ულუფაზე დასტოვა. ეს ხდება ე. წ. კონტრაქტაციის საშვალებით: სხვადასხვა უწყებები სდებენ «საკონტრაქტაციო ხელშეკრულებას» კოლექტივთან მისი წევრების ნაამაგარის სახელმწიფოსათვის ჩაბარების შესახებ; ნამდვილათ ეს არის არა ორ მხრივი ნებაყოფლობითი კონტრაქტი, არამედ უბრალო «რაზვიორსტკა». «ამა და ამ კოლექტივმა უნდა ჩააბაროს ამა და ამ უწყებას ამდენი და ამდენი ხორბალი, სიმინდი, ღვინო თუ სასოფლო მეურნეობის სხვა პროდუქცია»; ფასიც, რა თქმა უნდა, ამავე წესით ისაზღვრება ყოველივე ნაწარმოებზე—ისეთი მცირე, რომ სახელმწიფო თითქმის მუქთათ ითვისებს გლეხის ნაშრომს. აი მაგალითი: სახელმწიფო თავის მაღაზიებში 1 ბოთლ ღვინოს ყიდის 4 მ. 85 კაპეიკათ; ხოლო ეს ღვინო კოლექტივიდან წამოღებული აქვს მას კონტრაქტაციის ძალით 25 კაპეიკათ!

კოლმეურნეობის წევრების დაუკითხავად ხელისუფლება სდებს «კონტრაქტს» კოლექტივის ხელმძღვანელობასან იმის შესახებ, თუ რამდენი მუშა ხელი უნდა გამოიყვანოს კოლექტივმა სხვადასხვა სამუშაოებზე, როგორიც არის მაგ. სახელმწიფო მამულების დამუშავება, ბამბის გათოხნა-აკრეფა, მაღაროებში მუშაობა და სხვა. კოლექტივიდან გამოყვანილ მუშას ეძლევა დღეში 1-50 კ-ან 2 მანეთამდე. ეს იმ დროს, როდესაც დღიური კვება 4 მანეთი მაინც უჯდება ნახევრად მშიერ მუშას.

კოლმეურნეობის წევრების დაუკითხავად ხელისუფლება სდებს «კონტრაქტს» ამა თუ იმ ტეხნიკურ კულტურის გაშენების შესახებ და წინათვე საზღვრავს, თუ რა ფასებში უნდა ჩააბარონ სახელმწიფოს ამ კულტურის მოსავალი. მაგალითად, ხორბლის ნაცვლად—თამბაქოს, ბამბის, ან კანაფის მოყვანა; სიმინდის ნაცვლად—სოიას, ჩაის და სხვა ამ რაიონის გლეხკაცობისათვის მიუღებელი მცენარეობის გაშენება და სხვა.

მოსკოვის «სახალხო მეურნეობის» მგეგმავნი დაადგენენ თუ რამდენი თამბაქო, ჩაი, ბამბა, სოია, კანაფი, ხორბალი, სიმინდი, ხორცეული და სხვა უნდა მისცეს სახელმწიფოს საქართველომ; ეს «რაზვიორსტკა» საქართველოს კომუნისტებისათვის წმინდათა წმინდაა. ვინ გაბედავს ენის დაძვრას მოსკოვის მგეგმავთა საზღაპრო ციფრების წინაამდეგ! ეს ხომ მაშინვე პარტიის გენერალური ხაზის დამახინჯებათ იქნება აღიარებული. წინაამდეგ, ქართველი კომუნისტები, რომელნიც მხოლოდ იმის სურვილით არიან შეპყრობილნი, რომ მოსკოვის წინაშე ერთგული კაცის სახელი დაისახურონ, «შემხვდურ» საკონტროლო ციფრებს ადგენენ და ასე უბედურ გლეხკაცობას უკანასკნელ ლუკმა პურს სტაცებენ ხელიდან. მაგრამ ისე როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას უნდა დაიმსახუროს მოსკოვის წინაშე. სარაიონო კომიტეტებიც თავიანთ უფროსების მაგალითს მიბაძავენ: იწყება შეჯიბრი სოფლების გაცარცვისა და დარბევის. ცენტრალურ და სარაიონო კომიტეტების მდივნების კარიერას ეწირება მსხვერპლად სასოფლო მეურნეობის საარსებო ინტერესები.

საბჭოთა ხელისუფლებამ უკვე საბოლოოთ გაძარცვა სოფლის ინდივიდუალური მეურნეობანი. მათ აღარ შეარჩინეს აღარც მკვდარი და აღარც ცოცხალი ინვენტარი. სახელმწიფო კი სოფლიდან კვლავინდებურად მოითხოვს გადასახადების აკრეფას და ამ საგადასახადო სისტემის მთელი სიმძიმე კოლმეურნეობებს აწვება. ხოლო კოლმეურნეობები უფრო ადვილად ტყდებიან წელში მძიმე გადასახადებისაგან, ვიდრე ეს მოსდიოდათ ინდივიდუალურ მეურნეებს; და ეს იმიტომ რომ კოლმეურნეობაში შრომის ორგანიზაციის მონური ფორმა იწვევს შრომის ნაყოფიერების კატასტროფიულ დაცემას და, თავისთავად ცხადია, წლის დასაწყისში კონტრაქტაციით გათვალისწინებულ რაოდენობის პროდუქტების ჩაბარების შემდეგ, კოლექტივს თითქმის აღარაფერი რჩება, სახელმწიფო გადასახადი კი უნდა გადაიხადოს.

თვითოეულ კოლექტივში ხელისუფლებას ჰყავს თავისი აგენტები, თავმჯდომარეებისა და მოანგარიშეების სახით, რომელნიც აწარმოებენ მოსავლის აღრიცხვას. ეს ცნობები სასწრაფოთ ეგზავნება სარაიონო და ცენტრალურ ხელისუფლებას. რამოდენიმე დღის შემდეგ კოლექტივი ღებულობს მთავრობის ბრძანებას მოსავლის სახელმწიფო ფონდში გადარიცხვის შესახებ. თუ წინად ძნელი იყო ინდივიდუალურ მეურნეებიდან ეგრეთ წოდებულ სასოფლო სამეურნეო გადასახადების აკრეფა, თუ დამსჯელი რაზმების გაგზავნის მიუხედავათ ინდივიდუალური მეურნენი მაინც ახერხებდენ თავისი ნაამაგარის ერთი ნაწილის გადამალვას, კოლმეურნეობაში ეს შეუძლებელია; ის ვერც წინააღმდეგობას ახერხებს და ვერც თავისი ნაოფლარის გადამალვას.

აი, ყველა ეს გარემოებები კოლმეურნეობის წევრს უკლავს ყოველგვარ სურვილს შრომისას, იგი შრომის ორგანიზაციის მონურ პირობებში ვარდება, ჰქრება პირადი დაინტერესების ნატამალი და ამიტომ სავსებით ეცემა კოლექტივის წევრთა შრომის ნაყოფიერება. საკმარისია გადაავლოთ თვალი ყანებს, ვენახებს, რომ მაშინვე გაარჩიოთ კოლმეურნეთა ფართობი ინდივიდუალურ მეურნეთა ყანებიდან. ჩაყვითლებული და გაუთოხნავი სიმინდები, ბალახით გადავლილი ყანები, ფოთლებ-ჩამომხმარი და მტევანდამჭკნარი ვენახები თუ დაინახეთ, შეუცდომლად შეგიძლიათ სთქვათ, რომ ეს გავერანებული მეურნეობა კოლექტივს ეკუთვნის.

საშინელმა სილატაკემ კოლექტივებში წელს იჩინა თავი; გარდა მძიმე გადასახადებისა ამის მიზეზია ის გარემოება, რომ არსებობის პირველ წელში მათ გადაეცათ კულაკებათ მონათლული გლეხების ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი და, უმეტეს შემთხვევებში, ამავე კულაკების მთელი წლის მოსავალი. ეს ნაძარცვი—სხვისი ნაოფლარი—კოლექტივებში შარშანვე განიავდა და წელს ისინი დარჩენ თავისთავის ამარად. სწორედ ამიტომ წელს გამომჟღავნდა კოლექტივების სრული გაკოტრება, მისი უსაფუძვლობა, როგორც სამეურნეო ერთეულის.

რა საშუალებებს მიმართავს ხელისუფლება, რომ შეაჩეროს კოლექტივების დაშლის პროცესი?

გლეხი, რომელიც კოლექტივს გაურბის, ფაქტიურად გამოცხადებულია კანონს გარეშე. იგი ან უნდა გაიქცეს სოფლიდან ანდა თუ დარჩა იმდენ გადასახადებს შეაწერენ, რომ გადახდას ვერ შესძლებს. მისი შვილებისათვის დახშულია სკოლის კარები, ის ვერ შეიძენს კოოპერატივში: ნავთს, ფართალს, ფეხსაცმელს და სხვა. მას ერთმევა მისი სახნავ-სათესი და სამაგიეროთ უზომავენ უვარგის, უმოსავლო მიწას სადღაც მიუვალ ადგილას.

ამ გაუგონარ სასტიკ ზომებს ზედ დაერთო ამ უკანასკნელ დროს სოფლის ექიმებისა და აფთიაქებისათვის დაგზავნილი საიდუმლო ცირკულიარი, სადაც ნათქვამია, რომ სოფლის ექიმებს სასტიკათ ეკრძალებათ უფასოთ გინდ ფასით აღმოუჩინონ რაიმე დახმარება კოლექტივის გარეშე მდგომ გლეხებს, ხოლო აფთიაქების გამგეებს არა აქვთ უფლება გასცენ მათზე წამლები. აი როგორ ღონისძიებებით სცდილობენ ბოლშევიკები კოლექტივების დაშლის პროცესის შეჩერებას.

გლეხკაცობა გამოსავალს ეძებს. ამ ხანას გლეხი მეორეთ მოსვლის-წარღვნის ხანას უწოდებს. მან ჯერ აჯანყებები სცადა, რომლის ტალღებმა მოიარა მთელი ამიერ-კავკასია, განსაკუთრებით ადერბეიჯანი და საქართველო. აჯანყებები ხდებოდა სტიქიურად, სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა დროს. ამ გარემოებამ გაუადვილა ხელისუფლებას აჯანყებული რაიონები რუსების ჯარის საშუალებით სისხლში ჩაეღრჩო.

ეხლა კი მდგომარეობა ფრიად გამწვავებულია. მოსახლეობის ერთი ნაწილი სასოწარკვეთილებამ შეიპყრა. დაეცა სულით, დაჰკარგა ყველაფერი იმედი და გაბოროტებულმა არ იცის რა გზას დაადგეს. დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით გურია-იმერეთში, გახშირდა თვითმკვლელობის შემთხვევები. თოკზე ეზოში თავის ჩამოხრჩობის რამოდენიმე შემთხვევას უკვე ადგილი ჰქონდა, როგორც გურიის, ისე იმერეთის სოფლებში. თვითმკვლელობის აქტს განსაკუთრებით მიმართავენ წვრილ-ცოლშვილის პატრონნი. გოგია უიშვილები გახშირდენ.

ჩეკის სარდაფებში დახვრეტილ მუშებისა და გლეხების დაობლებულ ოჯახებს ამ ჟამად ემატება «თავისი ნებით» თოკზე ჩამორჩობილი გლეხების დაობლებული ოჯახები.

კახეთის სოფლებში ჯერ-ჯერობით მასიური ხასიათი მიიღო ტყეებში ყაჩაღათ გავარდნამ, ხელისუფლების აგენტებზე შურისძიების ნიადაგზე მკვლელობის შემთხვევებმა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აჯანყებულთა რიგებში თვალსაჩინო ნაწილს შეადგენდენ კომუნისტურ პარტიის წევრი გლეხები, რომელნიც თავგამოდებით იბრძოდენ. ტყეთ გაჭრილთა შორის არიან კომუნ. პარტიის წევრები. მასიური ხასიათი მიიღო კახეთში აგრეთვე კოლმეურნეობათა ქონების გადაწვის შემთხვევებმა.

რაც შეეხება მოსახლეობის მეორე ნაწილს, მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი, რომ საქართველო განთავისუფლდება მოსკოვის ტირანიისაგან და განთავისუფლებულ სამშობლოში ის კვლავ შეუდგება თავისუფალ შრომას.

ამ იმედით მოსახლეობის ეს ნაწილი იტანს უუფლებობას, სილატაკეს და ენით გამოუთქმელ ტანჯვას.

მაგრამ თუ კიდევ დიდხანს გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა, ე. ი. თუ ბოლშევიკების ბატონობას მალე არ მოეღო ბოლო ჩვენს ქვეყანაში, მოსალოდნელია მოსახლეობის ეს ნაწილიც შეირყეს, გაბოროტებას მიეცეს და გაეხვიოს სტიქიურ აჯანყების ალში.

კიმოთე.

◆

მუშათა საპყრობილე

ერთ დროს რევოლიუციონურ მუშათა კლასის აკვანი—თფილისის მთავარი სახელოსნო გადაიქცა საპყრობილეთ...

მთავარი სახელოსნო გარშემორტყმულია შეიარაღებული პირებით და მუშას არ აქვს საშუალება არამც თუ შემოსასვლელ კარებთან მივიდეს, არამედ აკრძალული აქვს საამქროდან საამქროში გადავიდეს. ასეთ მდგომარეობას მუშები მეტეხის ციხეში ყოფნას უწოდებენ და «ნეტავი როდის გავთავისუფლდებითო» ნატრობენ.

როგორც ყოველგან, სახელოსნოში გაჩაღებულია «დამკვრელობა»; «დამკვრელნი» პირველ რიგში ღებულობენ ტანისამოსის, ფეხსაცმელების და ფართლეულობის ორდერებს. არა დამკვრელი ღებულობს მეორე რიგში, მაგრამ მაშინაც ვერ ეღირსება, ვინაიდან ორდერები სამ-ოთხ თვეში მოდის ერთხელ, ისიც 100 კაცზე 40 ან 50, რაიცა დამკვრელებს ეძლევა.

ამ ბოლო დროს შემოიღეს წითელი წიგნაკები დამკვრელებისათვის; ეს ნიშნავს რომ უკანასკნელნი რიგს გარეშე მიიღებენ კოოპერატივებიდან საჭირო საგნებს. არა დამკვრელი აქაც გაწბილებული რჩება.

ყოველ სამ თვეში დამკვრელი ღებულობს 60-80 მანეთის ერთდროულ საჩუქარს, რასაც მუშები ქრთამს ეძახიან *). ამას თითქოს ქარხანა იძლეოდა თავის ბიუჯეტიდან დღემდე; მაგრამ დირექტორის განცხადების შემდეგ, დამკვრელმა თითონ უნდა აანაზღაუროს ეს საჩუქარი საკუთარი შრომით. საიდან უნდა შექმნას მუშამ ეს ზედმეტზე-ზედმეტი ღირებულება? შვიდი საათის განმავლობაში ის თავის ამოცანასაც ვერ ასრულებს (ამის დამამტკიცებელია «პრორივები»). ცხადია მან უნდა იმუშაოს ნაცვლად 7 საათისა 9-10 და ხშირათ 14 საათიც. ასეთ შემთხვევას მასიური ხასიათი აქვს მთავარ სახელოსნოში; 7 საათის სამუშაო დღე ქაღალდზე რჩება.

ყველა მაღალ კვალიფიკაციის მუშას მიცემული აქვს ხელწერილი, რომლის ძალით მას არ აქვს უფლება გადავიდეს სხვა ქარხანაში ან აიღოს საბოლოო ანგარიში და წავიდეს თავისთვის. თუ თავის ნებით დასტოვა სამუშაო, ირიცხება კავშირიდან, კოოპერატივიდან და გამოცხადებული იქნება მფრინავათ (ლეტუნ); როგორც მას, ისე მის ოჯახს ესპობა ყოველგვარი წყარო არსებობისა.

სახელოსნოს აქვს საკუთარი სასადილო. მუშებს 25 კაპეიკათ ეძლევათ ერთიმეოთხედი გირ. პური და კომბოსტოს ან მაკარონის სუფი. ხორცი იშვიათ შემთხვევაში და, თუ იქნა, ისიც ამყრალებული. ასეთი სადილით გამასპინძლების შემდეგ, მუშა ვალდებულია საღამომდე თავჩაღუნული იმუშაოს; თუ მან განაცხადა პრეტენზია შიმშილზე ან თავის სიტიტვლეზე, დირექტორს უფლება აქვს ორი კვირით, ხოლო საამქროს გამგეს ერთი კვირით ჩასვას «ჩეკა»-ში, რის მაგალითიც არა ერთი და ორი ყოფილა.

ყველა ადმინისტრატორი გამოცხადებულია განუსაზღვრელი დროით მომუშავეთ (ნე ნორმიროვანნი ტრუდ). იგი მოვალეა დღე და ღამის განმავლობაში სამივე ცვლაში იყოს სამსახურში. ამ წესის დამრღვევი იხსნება სამსახურიდან ჩამოქვეითებით ან კრებაზე იქნება გამოცხადებული როგორც ხუთწლედის ჩამშლელი.

უმაღლეს კვალიფიკაციის მუშა თვეში აკეთებს საშუალოთ 150 მანეთამდე; მაგრამ როცა მას გამოურიცხავენ გადასახადებს: სესხისას 15 მანეთს, თუ პარტიულია-პარტიულს, კავშირის, კოოპერატივის, კულტურული ფონდის, ავიახიმის, ქალაქ-სოფლის კავშირის, უპატრონო ბავშვების, პირადი დაბეგვრის, საალმშენებლოს, შეფის, «რევოლიუციონურ დღვნილების», ჟურნალ-გაზეთების, კლუბების და კიდევ სხვას, ხელზე მიიღებს 10-11 თუმანს.

არა ნაკლებ ოინს მიმართავს კოოპერატივი. გზავნის აგენტებს სახელოსნოში, წინდაწინ ართმევს ფულს მუშებს და დაპირებულ სანოვაგის მხოლოდ ნახევარს არიგებს და ისიც რამოდენიმე თვის შემდეგ. იყო მაგალითი, როცა ჩამოწერით მუშებს გამოართვეს თხუთმეტ-თხუთმეტი მან. ქართოფილის ფასი, ქართოფილი კი დაარიგეს დამპალი, ისიც ხუთი თვის შემდეგ. გასული წლის ივნისში კოოპერატივმა აკრიფა შვიდ-შვიდი, რვა-რვა თუმანი ფართლის ფასი; ეს ფართალი დღესაც არ არის დარიგებული.

ასეთ მდგომარეობაში მყოფი მუშა სდუმს, ხმა ვერ ამოუღია.

მართალია ჩვენი ბელადი, როდესაც ამბობს გაზეთ «ბრძოლის ხმის» № 14-ში: «შიში ადამიანს აყვარებს იმას ვინც სძულს და აძულებს იმას ვინც გულით უყვარს»-ო.

მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ახლო მომავალში მთავარ სახელოსნოს მუშები ბოლოს მოუღებენ ამ უკუღმართობას, შეიყვარებენ იმათ ვინც გულით შესაყვარებელია და დედამიწის პირიდან აღგვიან იმათ ვინც საძულველია.

მთავარსახელოსნოელი ახალგაზრდა მუშა.

თფილისი.

◆

ქართული ენის დევნა სამეგრელოში

ძველი რეჟიმის დროს, რუსის სასკოლო ადმინისტრაცია ჩვენში დიდი ხნის განმავლობაში სდევნიდა ქართულ ენას სამეგრელოს სკოლებში და საზოგადოთ მეგრელთა შორის. ჯერ იყო და კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსმა იანოვსკიმ სცადა ცნობილ ვოსტორგოვის დახმარებით ქართული ენის განდევნა სამეგრელოს სკოლებიდან. ეს ცდა გაბათილებულ იქნა ქართველობის, მათ შორის განსაკუთრებით მეგრელების, საერთო აღშფოთებით, რამაც გამოხატულება ჰპოვა სხვათა შორის პრესის ცხარე კამპანიაში. «პედაგოგიური» გზით რომ ვერაფერს გახდა რუსის მთავრობა, სხვა ხერხს მიმართა: გაიჩინა თვით მეგრელთა შორის ერთი-ორი ნაძირალა—როგორიც იყო მაგალითად მასწავლებელი აშორდია—, რომელთაც იკისრეს მეგრელების გამოთიშვა ქართველობისაგან. ამათ სცადეს ლიტერატურაში ქართულის ადგილას მეგრულის შემოღება და ისიც რუსული შრიფტით დაწერილის. მაგრამ მეგრელებმა, რა თქმა უნდა, არ გაიკარეს ეს «ლიტერატურა» და რუსის ადმინისტრაცია და მისი აგენტები აქაც გაწბილებული შეიქნენ.

განვლო მრავალმა წელმა და ჩვენ მოწამე გავხდით ამ ერთხელ დამარცხებულ ცდის გამეორების. ვის უნდა ეკისრა ეს, თუ არ საქართველოს დამოუკიდებლობის მტერთ, რუსეთის მთლიანობის მოტრფიალე «დიდმპყრობელ» კომუნისტებს.

ჯერ კიდევ 1925 წელს დაიწყეს მოსკოვის აგენტებმა ამ გზით მუშაობა. დააყენეს ეს საკითხი მოსკოვში და ვოსტორგოვისებურათ ქართული ენა მეგრელებისათვის უცხო ენათ გამოაცხადეს. ეს სამარცხვინო საქმე იკისრა ზუგდიდის სამაზრო პარტკომმა ბ. ქვანიას მეთაურობით. მან და მის დამქაშებმა გააბეს კავშირი მოსკოვთან და მოითხოვეს სკოლებში, სასამართლოებში და სხვა დაწესებულებებში მეგრულის შემოღება. ამ ამბავმა აშკარა წინააღმდეგობა გამოიწვია მთელს მოწინავე მეგრელობაში. ტფილისში გაიმართა მეგრელების საჯარო თათბირი, 3.000 კაცისგან შემდგარ ყრილობაზე ერთიც არ აღმოჩნდა ისეთი, რომ ზუგდიდელ კომუნისტების ინიციატივა მოეწონებია.

ამ ანტიქართულ საქმეს სამეგრელოში ფარულად აქეზებდა საშა გეგეჭკორი, რომელსაც პირადი ანგარიში ჰქონდა: როცა მისი წაქეზებით გათამამებულმა ქვანიებმა განგაში ასტეხეს და თვით მეგრელებში საერთო უკმაყოფილება გამოიწვიეს, გეგეჭკორი საქმეში ჩაერია, ვითომ ამ თავგასული ხალხის ჩასაჩუმებლათ და საქმის დასაცხრობათ. ამით ფიქრობდა პარტიაში მისი მაშინ უკვე შერყეული პრესტიჟის აღდგენას. ამავე დროს საქართველოს კომპარტიამ მიიღო მოსკოვიდან სტალინის დეპეშა: «მე ვიხუმრე და თქვენ სერიოზულათ მიგიღიათო»... ერთი სიტყვით, ეს ცდაც ჩაფლავდა თვით მეგრელობის ერთსულოვანი უკმაყოფილების წინაშე.

მაგრამ განვლო რამოდენიმე წელმა და მოსკოვი კვლავ დაუბრუნდა ზუგდიდელ ქვანიას იდეას; საქართველოს კომპარტიას გამოატანიეს დადგენილება: «იქ სადაც ქართული ენა არ იციან, შემოღებულ იქნას სკოლებში მეგრული ენა; სასამართლოში და ადმინისტრატიულ აპარატში საქმის წარმოება დაწესებულ იქნას მეგრულ ენაზე; გამოიცეს გაზეთი და მიეწოდოს ხალხს ცირკულიარები მეგრულ ენაზე».

ამ დადგენილებას საქართველოს ცეკა ასაბუთებს ვოსტორგოვ-ქვანიას მოსაზრებებით, რომ ქართული ენა მეგრელებისათვის უცხო და გაუგებარია, ცირკულიარები და სხვა განკარგულებები და ცნობები გაუგებარი რჩება მათთვისო და სხვ. შემოიღეს მეგრული ენა იმ განსხვავებით ცარიზმთან, რომ მას სწერენ არა რუსული, არამედ ქართული შრიფტით. ამგვარათ გამოცემულ «ყაზახიშა გაზეთი» შედგენილია ხელოვნური მეგრულით: იქ ხმარებულ სიტყვების უდიდესი ნაწილი სრულიად გამოსულია ხმარებიდან და გაზეთიც ხალხისათვის გაუგებარია.

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ სენაკის პარტ. ორგანიზაცია წინააღმდეგია ამ ზომების, მასაზე—თუნდაც კომუნისტურზე—ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაგრამ საქართველოს ცეკამ ამ საკითხზე თავისუფალი აზრის თქმის საშუალება მოუსპო არამც თუ ხალხს, თვით კომუნისტებსაც კი: ამათგან ვინც გაბედა ამ ნაბიჯის არგაზიარება, სწრაფად ჩააჩუმეს, შოვინიზმის და მენშევიზმის აგენტებათ მონათლეს.

ამგვარად საქართველოს ხელში მისი უდიდესი განძის სამშობლო ენის დასაცავათ დღეს აღარ მოიპოება ის იარაღი, რომლითაც მან შესძლო ვოსტორგოვების ცდის გაბათილება ამ 25-30 წლის წინ, ცარიზმის ხანაში.

უფლება აყრილი ერი იძულებულია გაჩუმდეს. მაგრამ სამეგრელოს ხალხი იმდენათ შედუღებულია თავის ეროვნულ კულტურასან, მისი ეროვნული კავშირი სხვა ქართველ ტომებთან იმდენათ ძლიერია, რომ მას ოდნავათაც ვერ შეარყევს ვოსტორგოვ-ქვანიების ცდა... ერის მოღალატეებს კი თავის დროზე სასტიკი პასუხი მოეთხოვებათ...

ედუარდ.

თფილისი.

---

*) დამკვრელობა არის საექსპლოატაციო პოლიტიკის ერთი მეთოდთაგანი. ასე მაგალითად, თუ წინათ ასოთ-ამწყობი აწყობდა 7,000 ასოს დღეში და ხელფასი კი თვიური 150 მანეთს უდრიდა, დამკვრელობამ ეს ნორმა აიყვანა 14,000-მდე, თვიური ხელფასი კი ეხლა დაყვანილია 90 მანეთზე.

ფილიპო ტურატი

30 მარტს პარიზში გარდაიცვალა იტალიის სოციალისტური პარტიის ლიდერი ფილიპო ტურატი. ტურატის ცხოვრების ისტორია არის ამავე დროს იტალიის სოციალისტური და მუშათა მოძრაობის ისტორიაც.

ტურატი დაიბადა 1857 წლის ნოემბერში ქალაქ მილანის მახლობლათ. განათლება მიიღო ბოლონის უნივერსიტეტში, სადაც მან იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა. სტუდენტობის დროსვე ის დაეწაფა სოციალური პრობლემების შესწავლას და თანდათანობით მასში განმტკიცდა სოციალიზმის ღრმა რწმენა. ტურატის საუკეთესო მეგობარი იყო ბისოლატი, რომელმაც მას პირველათ მარქსი და მარქსიზმი გააცნო.

1891 წელს ტურატი სხვებთან ერთად აარსებს იტალიის სოციალისტურ პარტიას და ამ დროიდან მოკიდებული, 40 წლის განმავლობაში, ის მისი საუკეთესო ხელმძღვანელი იყო.

ტურატი იყო არა მხოლოდ გამოჩენილი ტრიბუნი და ორატორი, არამედ მეტათ ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი. ის სცემდა თეორიული ხასიათის ჟურნალს, «Critica Soziale», სადაც ის 30 წლის განმავლობაში თანამშრომლობდა და სოციალიზმის რთულ საკითხებს არკვევდა. შემდეგში ის აგრეთვე ყოველ დღიურ სოციალისტურ გაზეთ «Avanti»-ს რედაქტორობდა.

კრისპის მთავრობით იტალიაში იწყება რეაქციის ხანა. სოციალისტური პარტია არალეგალურათ და დაშლილათ არის გამოცხადებული. ტურატის აძლევენ სამართალში და ციხეს მიუსჯიან. ასეთი რეპრესიების საპასუხოთ მილანის პროლეტარიატი ტურატის ირჩევს დეპუტატათ 1895 წელში. მას ანთავისუფლებენ ციხიდან. პარტიული მუშაობა ამიერიდან უფრო შესაძლებელი ხთება, ის ლეგალურ ჩარჩოებში დგება და ტურატის ხელმძღვანელობით პარტიის რიგები თვალსაჩინოთ იზრდება და მაგრდება.

იტალიის სოციალიზმის ზრდით დამფრთხალი მთავრობა ხელახლათ სცემს განსაკუთრებულ კანონებს სოციალისტების წინააღმდეგ. 1898 წელში ატყვევებენ ტურატის და 12 წლის ციხეს მიუსჯიან. პალანზას ციხე, რომელშიდაც ტურატი იყო გამომწყვდეული, ხთება შებორკილ იტალიის სიმბოლოთ.

1900 წელს ტურატის ხელ ახლათ ირჩევენ დეპუტატათ. იტალიაში დიქტატურა მარცხდება, ამნისტია ცხადდება. ტურატი უბრუნდება პარლამენტს და იქ იწყებს თავის დაუღალავ მუშაობას. თუ პარტიის დაარსების პირველ წლებში ის იყო შეურიგებელი მარქსისტი, ეხლა ის აღარ სთვლის მიზანშეწონილათ ასეთივე გზით სიარულს და მოუწოდებს თავის თანამოაზრეთ აწარმოვონ მასების გათვითცნობიერების, აღზრდის და რეფორმების პოლიტიკა. მაგრამ ტურატის რეფორმიზმი არ განისაზღვრებოდა და ამოიწურებოდა ყოველ დღიურ უბრალო პატარა საკითხებით. წინააღმდეგ. ტურატი, როგორც რეფორმისტი, ყველა საკითხებს საბოლაო მიზნის თვალთა ხედვით უყურებდა. ის იყო დიდი იდეალისტი.

1904 წელს ჯიოლიტი მოუწოდებს ტურატის მიიღოს მონაწილეობა მის მთავრობაში, მაგრამ ტურატი მას ამაზე უარს ეუბნება და ოპოზიაში რჩება.

1911 წელს ტურატი წინააღმდეგია კოლონიალურ ომისა ტრიპოლიტენში, ისე როგორც ის ეწინააღმდეგება 1914 წელს იტალიის დიდ ომში ჩარევას.

დიდი ომის ხანა (1914—1918) სივსებით სცვლის იტალიის ერის ფსიქოლოგიას. ერთი მხრივ იზრდება და ფეხს იკიდებს რეაქციონური სულისკვეთება, მეორეს მხრივ იტალიის მუშათა მოძრაობაში დიდი გასავალი ეძლევა მემარცხნე ექსტრემიზმს.

ტურატი დიდ წინააღმდეგობას უწევს პარტიაში ექსტრემიზმს. მაგრამ 1918 წლიდან 1922 წლამდე პარტია მის რჩევას და მოწოდებას ზომიერებისაკენ არ მიყვება და ის რჩება რამდენიმე მეგობართან ერთათ განმარტოებული.

საჭირო გახდა იტალიაში ფაშიზმის გამარჯვება, რომ მუშათა კლასი გონს მოსულიყო და ტურატი ხელახლა იტალიის სოციალიზმის უდავო ხელმძღვანელი გამხდარიყო.

ვის არ ახსოვს ტურატის მჭერმეტყველური და გაბედული გამოსვლები ფაშიზმის წინააღმდეგ პარლამენტში, თუ პრესაში!

მატეოტის მოკვლის შემდეგ ტურატი სტოვებს პარლამენტს, უერთდება ავენტინის ოპოზიციას და მასთან ერთათ განაგრძობს ბრძოლას.

1926 წელს იტალიის სოციალისტური პარტია არალეგალურათ და დაშლილათ ცხადდება. ტურატის სასტიკათ თვალყურს ადევნებენ. მას უცხოეთში წასასვლელათ ვიზასაც არ აძლევენ. დაბოლოს ტურატი ექვსი თავისი მეგობრით ნავით ზღვას გადასცურავს და კორსიკას თავს შეაფარებს; შემდეგ პარიზში მოდის, სადაც თავის უკანსკნელ დღემდე რჩება.

ღირსეული იყო ტურატის სიცოცხლე და მოღვაწეობა მის სამშობლოში; ტურატი მუდამ უბრალო, წმიდა, პატიოსანი, ძალა უფლების არ მოყვარული, ყოველგვარი დემაგოგიის წინააღმდეგი, ოპტიმიზმი და იდეალიზმით აღსავსე. ის მთელ თავის ძალღონეს სწირავს სოციალიზმის სამსახურს.

ღირსეული იყო აგრეთვე ტურატის ცხოვრება ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ემიგრაციაშიდაც. ის აქ აგროვებდა და თავს უყრიდა მისი პარტიის გაპნეულ ძალებს; შველოდა და ამხნევებდა მათ ამხანაგური რჩევით, ათბობდა მამობრივი მოპყრობით. ის ემიგრაციაშიაც მის პარტიას იდეურათ და მორალურათ ხელმძღვანელობდა.

ტურატის გავლენა-საქმიანობა არ ამოიწურება მხოლოდ მისი პარტიის ფარგლებით. ტურატი ნამდვილი სულის ჩამდგმელი იყო აგრეთვე იტალიის ყველა ანტიფაშისტურ პარტიების გაერთიანებისა და მათი საერთო ფრონტის შექმნისა. ის ამ საქმეს სიტყვით და წერით თავგამოდებით ემსახურებოდა. ის მოუწოდებდა ყველას დროებით დაევიწყნათ მათი უთანხმოებანი და გაერთიანებული შებრძოლებოდენ საერთო მტერს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობამ ტურატის სიკვდილით უთუოთ დაკარგა ერთი დიდი პიროვნება. სოულიად მართალი იყო ჟან ლონგე, როცა ის ტურატის დასაფლავების დღეს თავის სიტყვაში ამბობდა რომ იტალიის სოციალისტურ მოძრაობის წინაშე ტურატის ისეთივე ღვაწლი მიუძღვის, როგორც ჟორესს და გედს საფრანგეთში, ბებელს და ლიბკნეხტს გერმანიაში, ვიქტორ ადლერს ავსტრიაში, კეირ ჰარდის ინგლისში, პაბლო იგლეზიას ისპანიაში, პლეხანოვს რუსეთში, ბრანტინგს შვეციაში და ტროლსტრას ჰოლანდიაშიო. ტურატიმ ყველა ამათ შორის დაიჭირა თავისი ადგილი ჩვენ სოციალისტურ პანთეონში.

პ.

ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის კონფერენცია

ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში დამოკიდებულება ინგლისის ლაბურ პარტიის და დამოუკიდებელი მუშათა პარტიის შორის მეტათ მწვავე ხასიათს იღებს და კონფლიქტი მათ შორის დღითი დღე იზრდება და ღრმავდება.

დამოუკიდებლებს, რომელთაც ხელმძღვანელობს მაქსტონი და ბროკვეი, არ აკმაყოფილებს ინგლისის მუშათა პარტიის ბრძოლის მეთოდები და ცდილობენ თავიანთ მოქმედებაში თავისუფალი და ხელშეუბოჭველი იყვნენ. ამის საშუალებას კი მათ ლაბურ პარტიის კონსტიტუცია არ აძლევს.

დამოუკიდებლები სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციასთან და ტრედუნიონებთან ერთათ შედიან ინგლისის მუშათა პარტიაში ფედერატიულ ნიადაგზე.

დამოუკიდებლებს, როგორც სოციალდემოკრატებს და ტრედუნიონებს, აქვთ თავისი საკუთარი ადგილობრივი ორგანიზაციები, ირჩევენ თავის საკუთარ ცენტრალურ ორგანოებს და იწვევენ თავიანთ წლიურ კონფერენციებს. მაგრამ ამავე დროს დამოუკიდებლები, სოციალდემოკრატები და ტრედუნიონები, როგორც ლაბურ პარტიის წევრები, ესწრებიან მათ საერთო წლიურ კონგრესებს. ეს საერთო წლიური კონგრესი იმუშავებს პარტიის პროგრამას და ტაქტიკას. წლიური კონგრესი ირჩევს აგრეთვე პარტიის საერთო ცენტრალურ ორგანოს—ეკზეკუტივს, სადაც შედიან პარტიაში ფედერატიულათ შემავალ ყველა ნაწილების წარმომადგენელნი. ეკზეკუტივი ხელმძღვანელობს პარტიის მუშაობას და თვალყურს ადევნებს მთელი პარტიის საერთო კონფერენციის დადგენილებების ცხოვრებაში გატარებას და აღსრულებას.

სულ სხვანაირია ინგლისში პარტიის საპარლამენტო ფრაქციის დამოკიდებულება და ურთიერთობა პარტიის ცენტრალურ ორგანოებთან, ვიდრე კონტინენტალურ ქვეყნებში. კონტინენტზე პარტიის საპარლამენტო ფრაქციებზე ცენტრალურ კომიტეტებს გაცილებით მეტი გავლენა და უფლებები აქვს, ვიდრე ინგლისში. ინგლისში საპარლამენტო ფრაქცია პარტიაში თითქმის მეორე პარტიაა. სახელადაც ის არა ფრაქციას, არამედ საპარლამენტო მუშათა პარტიას ატარებს. საპარლამენტო მუშათა პარტიას დრო გამოშვებით აქვს თათბირი პარტიის ეკზეკუტივთან. მაგრამ ის სრულიადაც ვალდებული არაა ეგზეკუტივის დადგენილებებს, თუ ეს მას არ სურს, რაიმე ანგარიში გაუწიოს. საპარლამენტო მუშათა პარტია ანგარიშს აძლევს და პასუხისმგებელია მხოლოდ პარტიის წლიური კონფერენციის წინაშე.

ლაბურ და დამოუკიდებელ მუშათა პარტიის შორის დღეს კონფლიქტს უმთავრესათ საპარლამენტო მუშაობის ნიადაგზე იქვს ადგილი. დამოუკიდებლების ჯგუფი პარლამენტში ხშირათ არ ემორჩილება საპარლამენტო პარტიის დადგენილიბებს, გამოდიან და ხმასაც აძლევენ ამ დადგენილებების წინააღმდეგ. ასეთი რამ კი სამართლიან უკმაყოფილებას და აღელვებას იწვევს მთელ პარტიაში. ლაბურ პარტიის ჰენერალური მდივანი გენდერსონი ამის გამო ამ უკანსკნელ ხანებში დამოუკიდებელ პარტიის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა და მათ პარტიულ დისციპლინისაკენ მოუწოდებდა.

დამოუკიდებელი მუშათა პარტიის [illegible] წლიურ კონფერენციაზე, რომელსაც [illegible] ქალაქ ბლაკპულში მარტის დამლევ რიცხვებში, დებატების მთავარი საგანი ლაბურ პარტიაში დარჩენის საკითხი იყო.

დამოუკიდებელ პარტიის თავმჯდომარე ბროკვეი თავის მოხსენებაში კონფერენციაზე სასტიკათ აკრიტიკებდა მუშათა უკანასკნელ მთავრობის პოლიტიკას და ლაბურ პარტიის არჩევნებში დამარცხებას ამ ცუდი პოლიტიკის შედეგებით ხსნიდა.

მიუხედავათ იმისა, რომ გასულ ოქტომბერში ლაბურ პარტიამ თავის წლიურ კონფერენციაზე მიიღო მეტათ გარკვეული სოციალისტური პროგრამა, რომელიც ბევრ კონტინენტალურ ქვეყნების სოციალისტურ პარტიების პროგრამაზე უფრო რადიკალურია, ბროკვეი მაინც იწუნებდა ამ პროგრამას, მას ძალზე რეფორმისტულათ სთვლის და თავის პარტიას «რევოლიუციის პროგრამისაკენ» მოუწოდებდა.

როგორია ბროკვეის ეს «რევოლიუციის პროგრამა»?

ეკონომიურ—პოლიტიკური პირობები დღეს სავსებით მომწიფებულია, ბროკვეის აზრით, რომ მუშათა კლასმა ინგლისში შეეცადოს ძალა უფლების ხელში ჩაგდება. ასეთ შემთხვევაში მუშათა მთავრობის მოვალეობა იქნება მიაწოდოს ქვეყანას საკმარისი სურსათი და გაანაწილოს ის ოჯახის რაოდენობის და საჭიროების მიხედვით. მთავრობამ ნაციონალიზაცია უნდა მოუხთინოს ბანკებს, ტრანსპორტს, მაღაროებს, მიწას, მეტალურგიას, საქსოვ ინდუსტრიას, ელექტრონის ძალებს და სხვა. დავიწყოთ ახალი ეკონომიური სისტემის შენება, როგორც ამას ადგილი აქვს რუსეთშიო. საამისოთ ეკონომიური და ფსიქოლოგიური მდგომარეობაც ხელს გვიწყობს; მაგალითათ გერმანიაში, სადაც მთავარი ბრძოლა დღეს სწარმოებს ფაშიზმის და პროლეტარიატს შორის. ასეთი ბრძოლა შეუძლებელია შემოფარგლული იქნას. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის წინანდელი ლოზუნგი «სოციალიზმი განხორციელებულ იქნას ჩვენი თაობის ხანაში» დღეს აღარ არის დამაკმაყოფილებელი, ჩვენ კიდევ უფრო ჩქარი ნაბიჯით უნდა წავიდეთ წინო.

როგორც ხედავთ, ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის თუ არა ფართე მასები ყოველ შემთხვევაში ხელმძღვანელი წრეები ნამდვილი ბოლშევიზანური სულისკვეთებით არიან გაქღენთილი.

დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ხელმძღვანელები არ კმაყოფილდებიან მათი ბოლშევიკური მიდრეკილებების პროპაგანდით მხოლოდ ინგლისში. ისინი ცდილობენ შესაფერი აქტივობა გამოიჩინონ საერთაშორისო ასპარეზზედაც. ინტერნაციონალის ეზეკუტივის სხდომებზე, თუ კონგრესებზე. როგორც ამას მაგალითად ქონდა ადგილი გასულ ზაფხულზე ვენაში, დამოუკიდებლები შემთხვევას არ უშვებენ, რომ თავიანთი ბოლშევიზანური სულისკვეთება არ გამოამჟღავნონ და ყველა სხვა ქვეყნების სოციალისტურ პარტიებს ზედმეტი ზომიერება და ოპორტიუნიზმი არ უკიჟინონ თითქმის ყოველი საკითხის გამო. ბროკვეის და მაქსტონს ბაუერის ბოლშევიზანობაც კი არ აკმაყოფილებს და ისინი თავიანთ თავს მეორე ინტერნაციონალის უკიდურეს მემარცხნე ფრთას აკუთვნებენ.

ასეთ პირობებში, რასაკვირველია, მაქსტონს, ბროკვეის და მის მეგობრებს ძლიერ გაუჭირდებათ

დასკვნები

2.

პირველ წერილში*) დავინახეთ, რომ არსებობს მრავალნაირ კრიზისთა გვერდით სოციალიზმის კრიზისიც. მისი ნიშნობლივი თვისებაა დაშორება სოციალისტური სახელმწიფო პოლიტიკის სოციალისტურ მსოფლმხედველობისაგან. სოციალისტურმა მართველობამ ვერსად ვერ გაავლო ის პოლიტიკური ხაზი, რომელიც მას ანსხვავებს ბურჟუაზიის მოწინავე დემოკრატიას; ამ ბურჟუაზიული დემოკრატიის დაცემის პერიოდში ის თვით გამოვიდა მის ავანგარდათ და შემოფარგლა თავისი მუშაობა მისი საზღვრებით.

სოციალისტური დოქტრინიდან ასეთი გადახვევა არ შეიძლება იყოს შემთხვევითი, უცაბედი მოვლენა. ის პირდაპირი შედეგია თვით ამ დოქტრინის შერყევის, მასში დაეჭვების და მის გვერდზე და მის წინაალადეგ ახალი მიმდინარეობათა წამოყენების. ამ ჟამათ ხდება ინტერნაციონალის მთელ ხაზზე გადაშინჯვა სოციალისტური მოძღვრების, ხდება არა პირდაპირ, აშკარათ, არამედ გაკვრა-გამოკვრით, შემთხვევიდან შემთხვევამდე, ცალგვერდათ და ცალცალკე, რასაც შეაქვს მასაში პოლიტიკური ქანაობა და ორგანიზაციული დაქსაქსულობა. ამ რევიზიის ეს უძლიერესი ტალღა ეკვეთა ჩვენ ძირითად დებულებას, თვით სოციალიზმის არსებობას.

ომამდე სოციალისტური მსოფლმხედველობის ბაზა იყო არსებობა ერთი სოციალიზმის, საკუთარი დროშით, დოქტრინით და სავალი გზით. ომის შემდეგ ამ ჩვენ საერთო რწმენას თავს დაესხა ბოლშევიზმი, თვით დაიჩემა მართლმორწმუნე მარქსიზმი და ჩვენ მოგვათავსა წვრილბურჟუაზიულ ოპორტიუნიზმში. ინტერნაციონალს ეს იდეოლოგიური შემოტევა უნდა მოეგერებია იდეოლოგიური საშუალებით, დაემტკიცებია თავისი სოციალიზმის სინამდვილე და მათის სიყალბე. მან ამ ერთათათ ერთ მისაღებ გზას გვერდი აუხვია და მონახა ადვილი გამოსავალი. მან აღიარა: ჩვენი სოციალიზმია დემოკრატიული, ბოლშევიკების კი ანტიდემოკრატიული; ე. ი. აღიარა არსებობა ორი სოციალიზმის, რომელთა შორის განსხვავებაა არა თვით სოციალისტურ მოძღვრებაში, აოა იდეოლოგიაში, არამედ მის განმახორციელებელ გზებში, დემოკრატიის შემცნებაში, ტაქტიკაში. დავის ამ ნიადაგზე გადატანით ძირი გამოეთხარა თვით სოციალიზმს. და მართლაც, თუ შესაძლებელია ორი ნამდვილი სოციალიზმი, რატომ არ შეიძლება იყოს ოციც? აღიარება ორი ჭეშმარიტების ნიშნავს უარისყოფას საზოგადოთ ჭეშმარიტების. ამ შემთხვევაში რა უფლებით მოვიწოდებთ მასას ჩვენი ბანაკისაკენ, თუ ასეთივენი არსებობენ ჩვენს გარეშედაც. თუ კი მართლა «ყველა გზა რომში მიდის», ცხადია სოციალისტურათ განწყობილნი სრულიად არ არიან მოვალენი აირჩიონ მხოლოდ ერთი ამათგანი; ისინი იფანტებიან სხვა და სხვა გზებზე იმ იმედით, რომ ყველანი ერთი მიზნისაკენ მიდიან. სოციალისტური ინტერნაციონალი მხოლოდ ერთი რგოლია მთელი მოძრაობის და არც არავითარი უფლება არ აქვს სოციალიზმის მონოპოლია დაიჩემოს და პროლეტარიატზე განსაკუთრებითი პრეტენზიები წამოაყენოს.

ომამდე სოციალისტურ ლიტერატურაში სოციალიზმი იყოფოდა ორათ: უტოპიური, ე. ი. განუხორციელებელი, კეთილ სურვილზე დამყარებული და მეცნიერული, ცხოვრების რეალურ მსვლელობაზე დაყრდნობილი, ისტორიული აუცილებლობის უეჭველი შედეგი. პირველი დიდი ხანია გაქრა სოციალისტური აზროვნების სამეფოდან და ბურთი და მოედანი დარჩა მეორეს. სოციალიზმი საბოლოოთ გამოვიდა კაცმოყვარეობის და ფანტაზიის სფეროდან, გადაება საზოგადოების ევოლიუციის ულმობელ კანონებს, თვით გახდა მეცნიერების ერთი შტო, სხვა მის შტოებთან განუყრელათ გადაბმული. მისი დამახასიათებელი თვისებაა აი ეს მისი მეცნიერული შინაარსი. მის საზღვრებში იყო მიმდინარეობანი: ოპორტიუნისტული, რევოლიუციური, სინდიკალური და სხ., მაგრამ არასოდეს არ ყოფილა მიმდინარეობა დემოკრატიული და ანტიდემოკრატიული.

რაკი ახლა გამოცხადდა ბოლშევიზმის სოციალისტობა, გამოცხადდა მისი შესაძლებლობა, ცხადია ისიც ისეთსავე მეცნიერულ საფუძველზე ყოფილა აგებული, როგორათაც ჩვენი. ხოლო მათი მსოფმხედველობა ცნობილია: საკმარისია ხელში ჩაიგდო ძალაუფლება, რომ სოციალიზმის განხორციელება შესაძლებელი იყოს. ამიტომ მათი აზრით, ყველა ხალხი მომზადებულია ამ წყობილების მისაღებათ, აზიელი, ისე როგორც ევროპიელი, აფრიკელი, ისე როგორც ამერიკელი, რუსეთი ხომ სოციალიზმის აღთქმული ქვეყანაა. არავითარი ისტორიული პირობები, ეკონომიური მდგომარეობა, კულტურული დონე, პოლიტიკური ურთიერთობა, არცერთი ეს პირობა, «კომუნისტურ მანიფესტში» და «კაპიტალში» აწერილი, საჭირო აღარ არის, საკმარისია მართველობის აპარატის დაპატრონება! თუ წინეთ ჩვენ უდაოთ მიგვაჩნდა მარქსის ცნობილი დებულება: «ინდუსტრიალურათ წინ წაწეული ქვეყანა იძლევა სურათს უკან ჩამორჩენილის მერმისისას» («კაპიტალი»), ახლა დავიჯერეთ სულ წინააღმდეგი დებულება: ინდუსტრიალურათ უკან ჩამორჩენილი ქვეყანა იძლევა სურათს წინწაწეულის მერმისისას! ასე ნელნელა ინტერნაციონალი ჩამოჩოჩდა მეცნიერული ნიადაგიდან უტოპიურზე და შეტოპა რაციონალიზმის სამეფოში.

ორში ერთი: საზოგადოება ვითარდება ან ორგანიულათ, მისი საკუთარი ბუნებრივი პროცესით, პიროვნებათა სურვილზე დამოუკიდებლათ ან და მას ქმნის და წინ უძღვის გარეშე ძალა, მის მაღლა მდგომი, მისი ბრძანებელი და ბატონი, არის ის ღმერთი, გმირი, თუ თავდადებულნი. მაგრამ მიღება ამ ორივე კონცეპციის, ან და მათი გაყოფა გეოგრაფიულათ, თითქოს ერთს ემორჩილება დასავლეთი, მეორეს აღმოსავლეთი ნიშნავს სრულ კაპიტულაციას უტოპიზმის წინაშე. წინეთ სოციალური განვითარების კანონებს ვყოფდით ისტორიულ პერიოდებათ და მარქსთან ერთათ ვაღიარებდით: «თვითეული ხანა ისტორიისა ემორჩილება საკუთარ კანონებს», ახლა კი ამ დებულებიდან ამოვიღეთ «ისტორიული ხანა» და მის ალაგას ჩავსვით «საკმაოთ ფართე ტერიტორია» (ავსტრიის სოც.-დემ. პარტიის პროგრამა). გამოვიდა რომ სოციალიზმის განსახორციელებლათ მიუცილებელია არა შესაფერი ისტორიული პერიოდი, არამედ შესაფერი ტერიტორია!

აშკარაა. მრავალსოციალიზმობა ნიშნავს ისტორიული მატერიალიზმის სრულ რევიზიას, მეცნიერული ნიადაგის დატოვებას და ძველ ინტერნაციონალისათვის ზურგის შექცევას. ამ რევიზიის მეთაურია ოტო ბაუერი, რომლის აზრები დღეს გაბატონებულია ინტერნაციონალში და ითვლება მის თეორიულ ლიდერათ. მან ვენის ინტერნაციონალის კონგრესზე მოკლეთ და მკაფიოთ გამოთქვა თავისი შეხედულობანი, რასაც არავითარი დავა და შეკამათება არ გამოუწვევია; მან სთქვა.

«შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სხვადასხვა გზა სოციალიზმისაკენ მიმავალნი. ერთია გზა ძალის, დიქტატურის, ტერორის, რამაც რუსეთის რევოლიუციის მსოფლიო ისტორიულ მაგალითით ყველა ქვეყნის მუშათა მასები შეაცდინა. მაგრამ ეს გზა მოკირწყლულია უმძიმესი დანაკლისებით, ის უარსყოფს პიროვნულ და სულიერ თავისუფლებას, კაცობრიობის მიერ საუკუნოების განმავლობაში მოპოვებულ უძვირფასეს მონაპოვართ. ეს გზა, გზა ძალის, დიქტატურის, ტერორის არ არის ის გზა, რაიცა ჩვენ გვსურს. ჩვენ მუდამ გვსურდა მეორე გზა სოციალიზმისაკენ და გვსურს დღესაც. ჩვენ არ გვსურს სოციალიზმის გულისათვის უარი ვთქვათ თავისუფლების უფლებებზე, პიროვნულ და სულიერ თავისუფლების გარანტიაზე, რისთვისაც საუკეთესო ნაწილმა კაცობრიობისამ თავი დადვა კონტრ-რევოლიუციასან ბრძოლაში, ბასტილიებზე, რევოლიუციათა ბარიკადებზე; ეს უფლებები ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ჩვენ გვინდა არა უარი ვთქვათ დემოკრატიაზე სოციალიზმისათვის, არამედ ის გავხადოთ საფუძვლათ სოციალისტური საზოგადოების ასაგებათ».

აი სულ ახალ-ახალი თეორია, ომის შემდეგ შემუშავებული და გავრცელებული. აქ დადასტურებულია ბოლშევიზმის სოციალისტობა, რუსეთის სოციალიზმისაკენ მსვლელობა, უკან ჩამორჩენილი ქვეყნის მთავრობის მიერ გასოციალისტება—ერთი სიტყვით ყველა ანტიმარქსისტული დებულება. ამ დებულებათა განვითარება მოგვცა ავტორმა შემდეგ ერთ თავის წერილში, სადაც საბჭოთა მეურნეობის სოციალისტობა დასაბუთებულია პოლიტიკურათ, და რუსეთის სოციალდემოკრატიას აძლევს შესაფერ ტაქტიკურ დირექტივებს («Der Kampf», დეკემბერი, 1931 წ.). ავტორი აქ ამტკიცებს, რომ ბოლშევიკური მეურნეობა ეკონომიურათ სოციალისტური ელემენტებისაგან შედგება, მის ნამდვილ სოციალიზმათ გადაქცევა მოხდება იმ დღიდან როცა ხალხი მიიღებს პოლიტიკურ უფლებებს, დამკვიდრდება დემოკრატიაო. ე. ი. ხდება ჯერ ეკონომიური განთავისუფლება, შემდეგ პოლიტიკური! რუსეთში, სწერს ბაუერი, «მაშასადამე დემოკრატია არის არა წინასწარი პირობა და ბრძოლის ბაზა სოციალიზმისათვის, არამედ სოციალიზმის დაბოლოვება», დებულება პირველათ წამოყენებული პრუდონის და ბაკუნინის მიერ და გაზიარებული ანარქისტების მიერ (კრაპოტკინი, ქანგრავი და სხ.). ჯერ სოციალური რევოლიუცია, შემდეგ პოლიტიკური. კარგა ხანია დამარცხებული მარქსიზმით და ისტორიის არხივში დავიწყებული, დღეს განახლებულია და უდაო ჭეშმარიტებათ გამოტანილი.

ამნაირათ, სოციალიზმის ძირითადი მოძღვრება უარყოფილია, უტოპიზმის ყველა ცრუმორწმუნება აღიარებულია. ამ გარემოებამ არივდარია პროლეტარიატის აზროვნება და მისცა იდეიური საფუძველი ყველა ჯურის პოლიტიკის ავანტიურისტებს. თუ კი მართლა სახელმწიფო აპარატის ხელში ჩაგდებით და თავისუფლების მოსპობით, ჩეკის და პოლიციის საშუალებით სოციალური რევოლიუცია მოხდება, რაღას უსაყვედურებთ ჰიტლერის პარტიას, რომელიც სწორეთ ამ აზრებს ქადაგებს. გამოდის რომ ამ პარტიას მართლა შეუძლია მთავრობის დაპატრონებით და დემოკრატიის განადგურებით მოსპოს კლასები, გააუქმოს პროლეტარიატი და ბურჟუაზია და აღადგინოს გერმანელი ერის ძველი რასიული და ეკონომიური მთლიანობა. ჩვენ ამ პროგრამას ვებრძვით არა მარტო იმიტომ რომ რეაქციონურია, არამედ უმთავრესათ იმიტომ რომ შეუძლებელია, უტოპიურია, უნიადაგო ოცნებაა, რომლის ექსპერიმენტი ძვირათ დაუჯდება გერმანიას. და თუ ეს ასე არ არის, თუ ის რეალურია, თუ ის ეთანხმება ისტორიის მსვლელობას, მაშინ მისი გამარჯვება აუცილებელია და სოციალდემოკრატია დამარცხებული.

უტოპიზმის ასე მოულოდნელათ აღდგენა და

---

*) იხ. «ბრძ. ხმა» № 21. ეს წერილები დაიბეჭდა ფრანგულათ «L'Avenir Scoc.»-ში.

ერთათ მუშაობა პარტიაში ჰენდერსონთან. კლაინსთან. მორისონთან და სხვებთან.

ბლაკპულის კონფერენციაზე მაქსტონი ამბობდა, რომ ინგლისის მუშათა პარტია არ იბრძვის სოციალიზმისათვის და არც მის რიგებში მყოფ სხვა სექციებს ანებებს ასეთი ბრძოლა აწარმოვოს. ამიტომ დამოუკიდებელი მუშათა პარტია უნდა შეეცადოს შექნას ახალი მძლავრი სოციალისტური მოძრაობა და სრული გამარჯვება მოიპოვოს. ლაბურ პარტიის რიგებში დარჩენით კი ასეთი რამის გაკეთება შეუძლებელიაო. მე მქონდა მოლაპარაკება ჰენდერსონთან, ამბობდა მაქსტონი, მაგრამ მასთან ლაპარაკმა მე დამარწმუნა იმაში, რომ ლაბურ პარტია სრულიადაც არ ფიქრობს იმაზე, რომ ჩვენ პარლამენტში ნება მოგვცეს ჩვენი სოციალისტური პრინციპების მიხედვით თავისუფლათ მივცეთ ხმებიო.

მაქსტონის და სხვა ბოლშევიზანების წინააღმდეგ სასტიკათ ილაშქრებდა დოლანი. ის სულელურათ სთვლიდა მათ აზრს, რომ ვითომც ინგლისში შესაძლებელია დამყარებულ იქნას საბჭოთა კავშირის რაიმე მგზავსი ორგანიზაცია. ის ამტკიცებდა, რომ ლაბურ პარტია დღეს ნამდვილი სოციალისტური პარტიაა და მის და დამოუკიდებელ პარტიის შორის განსხვავება მხოლოდ სოციალიზმის განხორციელების სისწრაფის საკითხშიაო. დამოუკიდებლები უნდა დარჩენ მუშათა პარტიის რიგებში და მასთან ერთათ აწარმოვონ ბრძოლა სოციალიზმის განსახორციელებლათო.

კონფერენციამ არ გაიზიარა მაქსტონის ეზრი. რომ დამოუკიდებელ მუშათა პარტიას დაუყონებლივ გაეწყვიტა კავშირი ლაბურ პარტიასთან. მან არ მიიღო არც დოლანის წინადადება, რომ დამოუკიდებლები ყოველივე პირობების გარეშე დარჩენილიყვნენ ლაბურ პარტიის რიგებში. მიღებულ იქნა გარტონის და დავიდ კირკვუდის წინადადება, რომ დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ეკზეკუტივმა გამართოს მოლაპარაკება ლაბურ პარტიასთან და მასთან ერთად შეიმუშავოს პირობები, რომელიც საშუალებას მისცემს ორივე მხარეს დარჩეს ერთ დიდ და მთლიან ოჯახში. ეს უკანასკნელი წინადადება მიღებულ იქნა 250 ხმით 53 წინააღმდეგ.

ძნელია აქედანვე იმის თქმა, თუ რა პირობებზე იქნება ლაპარაკი ლაბურ და დამოუკიდებელ პარტიათა შორის და რა შედეგი მოყვება ამ ლაპარაკს. ერთი კი ცხადია, ინგლისის მუშათა პარტიისათვის მიუღებელი იქნება, რომ დამოუკიდებლები საპარლამენტო მუშათა პარტიის დადგენილებებს არ ემორჩილებოდენ, პარლამენტში, მთელი ქვეყნის წინაშე, გამოდიოდენ და ხმას აძლევდენ ამ დადგენილებების წინააღმდეგ, თუ კი მათ, რასაკვირველია, სურთ დარჩენ ერთ და იმავე პარტიაში.

დამოუკიდებლები უნდა ჩადგენ პარტიის დისციპლინის კალაპოტში. ან და ისინი იძულებული იქნებიან დასტოვონ პარტიის რიგები; მაგრამ პარტიის რიგების დატოვება მათ კარგს არაფერს უქადის.

დამოუკიდებელი პარტიის ხელმძღვანელების დიდი უმრავლესობა ინტელიგენტებიდან შესდგება. თუ მათ დღემდი იდეური გავლენა კი ქონდა ინგლისის მუშათა კლასზე, ეს სხვათა შორის უმთავრესათ იმით აიხსნება. რომ ისინი ლაბურ პარტიის მთავარ კადრების. ტრედუნიონების შორის მუშაობდენ. დამოუკიდებლებმა დღეს რომ ლაბურ პარტიასთან და ტრედუნიონებთან კავშირი გასწყვიტონ. ამით ისინი მოსჭრიდენ იმ ტოტს. რომელზედაც ზიან და სრულ იზოლიაციაში მოხთებოდენ. ისინი გადაიქცეოდენ სექტანტების ჯგუფათ, რომელსაც ინგლისის მუშათა მოძრაობაში არავითარი გავლენა აღარ ექნებოდა. ცნობილი სოციალდემოკრატი ჰაინდმანი თავის კულტურით, განათლებით, ორატორული ნიჭით და საერთაშორისო ავტორიტეტით ასჯერ უფრო დიდი პიროვნება იყო, ვიდრე მაქსტონი და ბროკვეია. მაგრამ მან და მისმა ჯგუფმა ვერ შესძლეს შესაფერი გავლენის მოპოვება ინგლისის მუშათა კლასში, რადგანაც მათი ტაქტიკა ტრედუნიონებთან დამოკიდებულების საკითხში მუდამ შემცდარი იყო. ეხლა კი მაქსტონ-ბროკვეის მიერ ამავე შემცდარ ტაქტიკის განმეორებას მათთვის გაცილებით კიდევ უარესი შედეგები მოყვება.

საერთოთ დამოუკიდებელ მუშათა პარტიას ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ბედი არ სწყალობდა. რამდენადაც ის თავის მსოფლიო მხედველობაში და ტაქტიკაში ბოლშევიზანობას იჩენდა, იმდენათ მისი წონა და გავლენა მუშათა წრეებში კლებულობდა. ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში დამოუკიდებელთა პარტიის წევრთა რიცხვი 20-25 ათასამდე აწევდა, დღეს კი მათი რიცხვი განახევრებულია, ლაბურ პარტიაში კი 3.000.000-ზე მეტი წევრი ირიცხება.

ლაბურ პარტიის რიგებიდან გასვლით დამოუკიდებლებს მოელის სრული ნგრევა და დაქსაქსვა. პარტიის თვალსაჩინო ნაწილი უთუოთ მაქსტონ-ბროკვეის არ გაყვება და ლაბურ პარტიაში დარჩება; ნაწილი კომუნისტებს შეუერთდება, ნაწილიც ალბათ გზა აბნეულ ცოლ-ქმარ მოზლეის მაგალითით ისარგებლებს და «ახალი პარტიების» ძებნას დაიწყებს. დარჩება დამოუკიდებლების მცირე ჯგუფი, რომელსაც ინგლისის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში არავითარი გავლენა აღარ ექნება.

ბ. ბ.

◆

საბჭოთა რუსეთი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ამ უკანასკნელ ხანებში ევროპის პრესას მეტად საინტერესო ცნობები მოსდის საბჭოთა რუსეთის შინაურ მდგომარეობის შესახებ.

გაზეთ «დნის» მისი სპეციალური კორესპოდენტი მოსკოვიდან შემდეგს სწერს: კომუნისტური პარტიის მე 17-კონფერენცია, რომელსაც მოსკოვში გენერალ-გუბერნატორების ყრილობას უწოდებენ, დიდი საშიშროების სულისკვეთებას განიცდიდა; ძველი პარტიზანული მოძრაობანი ამიერ კავკასიაში. ჩრდილო კავკასიაში და ციმბირში ჯერ კიდევ არ ჩამქრალა. აჯანყება, რომელიც დაიწყო 1931 წ. შემოდგომაზე კასპიის მხარეებში, კიდევ გრძელდება და მასთან საბრძოლველათ საბჭოთა ხელისუფლება იძულებულია გამოიყვანოს გეპეუს საუკეთესო ჯარების მთელი არმია. უკრაინაში, ვოლგის რაიონში და ბელორუსიაში, სოფლის პარტიზანობამ მფრინავი რაზმების ხასიათი მიიღო. ეს რაზმები თავს ესხმიან პურის საწყობებს. მატარებლებს და, საზოგადოთ, ყველა იმ ადგილებს, სადაც კი შეიძლება რაიმე საკვების შოვნა. გლეხთა აჯანყებებს ეკარგება მეურნეობის დამოუკიდებლობისათვის და ქონებრივი ბაზის შენახვისათვის ბრძოლის ხასიათი; ეს აჯანყებები ხთებიან დამშეულთა მოძრაობათ, რომლის მთავარი მიზანია საჭმლის შოვნა-მოპოვება. სოფლის და გლეხთა მოძრაობა ქალაქებსაც ედება, რადგანაც ეს უკანასკნელნიც დამშეულებით არიან სავსე. ამავე დროს მუშათა უკმაყოფილება არა თუ არ კლებულობს,, არამედ თვალსაჩინოთ იზრდება და ძლიერდება. მუშები თხოულობენ მათ საცხოვრებელ მინიმუმის გადიდებას. გაფიცვების ტალღა დღითი დღე მატულობს და საერთო მდგომარეობა მეტათ რთულდება...

⁂

იმავე «დნის» თურქესტანიდან ატყობინებენ: ხუთ თვეზე მეტი იქნება, რაც ეს უდიდესი მხარე კრასნოვოდსკიდინ მერვამდე ნამდვილ სამხედრო მდგომარეობას განიცდის. ბასმაჩებთან ბრძოლის გარდა, საბჭოთა ხელისუფლება ეხლა ნამდვილ ომს აწარმოებს დღემდინ სავსებით მშვიდობიან და მთავრობისადმი მორჩილ მცხოვრებლების წინააღმდეგ. ეს უკანასკნელნი კი ყოველივე საშუალებებით თავს იცავენ გაუთავებელ და შეუბრალებელ ცარცვისაგან. რომელსაც ხელისუფლება აწარმოებს სხვადასხვა გადასახადების. სესხზე «ნებაყოფლობითი» ხელის მოწერის, თუ თვითდაბეგვრის სახით. იმის შემდეგ, რაც მცხოვრებთა შეძლებული ნაწილი სავსებით გაძარცულ და ფაქტიურათ განადგურებულ იქნა. ხელისუფლებამ იმავე მეთოდებით ძარცვა დაუწყო მცხოვრებლების ღარიბ ნაწილესაც, აიძულეს ესენი მიეტოვებინათ თავიანთი ადგილები, გაქცეულიყვნენ უდაბნოებში და გადასულიყვნენ პარტიზანების მდგომარეობაზე. ამ ახალ სამოქალაქო ომში ბოლშევიკები ფართეთ სარგებლობენ მფრინავ მაშინებით და გაზიან ბომბებით. ბომბებს ესვრიან აეროპლანებიდან. როგორც იმათ, ვინც წინააღმდეგობას უწევს ბოლშევიკების ცარცვა-გლეჯას, აგრეთვე მათაც, ვინც გარბის და სურს თავი დააღწიოს მათ ამგვარ სიმხეცეს. ბოლშევიკები ბომბებით ხოცავენ და ანადგურებენ იმ ცხოველებსაც, რომელიც თან მიყავთ გახიზნულებს.

⁂

«სოციალისტურ ვესტნიკში» (№ 266) მოსკოვიდან შემდეგი ინფორმაციაა მოთავსებული: კომუნისტების წრეებში დღეს ყველაზე უფრო საინტერესო თემაა—ხმები პოლიტბიუროში კონფლიქტის შესახებ. პარტიულ მასას აინტერესებს, თუ რატომ სტალინი არ გამოჩენილა მე-17 პარტიულ კონფერენციაზე. ხმები ბევრია, მაგრამ ყველაზე უფრო ამას მით ხსნიან, რომ სტალინს არ უნდოდა ელაპარაკა და თავისთავზე პასუხისმგებლობა მიეღო იმისთვის, თუ როგორ ტარდება ცხოვრებაში კომუნისტური პარტიის სამეურნეო პოლიტიკა. გადმოგვცემენ, რომ კონფერენციის წინ პოლიტბიუროს სხდომაზე კამათი იყო სხვადასხვა მოხსენებების შესახებ. წარმოებათა ყველა დარგებში გამოირკვა ისეთი მძიმე მდგომარეობა, რომელსაც არ მოელოდენ საქმეებთან ახლო მდგომი ცეკას წევრებიც კი. ნაწარმოებათა მეტათ მაღალი თვითღირებულება, რომელიც დღიდან დღემდე მატულობს; აღმშენებლობის ყველა დარგებში სმეტაზე ზევით მილიონობით არის დახარჯული; უმთავრეს წარმოებათათვის არ არის დამზადებული ნედლი მასალა; სრული მოუმზადებლობა სათესავი კამპანიისათვის. ფინანსების მეტათ მძიმე მდგომარეობა და სხვა. ყველა ამის გამო პოლიტ-ბიუროში ატყდა აურზაური და დავა სხვა და სხვა უწყებათა წარმომადგენელთა შორის. საქმე ლანძღვა გინებამდე და სკანდალებამდეც [illegible]

ძალიან ცუდათ არის აგრეთვე სურსათის [illegible] მოსკოვში, ლენინგრადში და ზოგ დიდ ქალაქებში, ადამიანს, რომელსაც კავშირი აქვს ჩუმ გამნაწილებლებთან, კიდევ შეუძლია ასე თუ ისე თავი გაიტანოს. მაგრამ პატარა ქალაქებში ნამდვილ შიმშილობას აქვს ადგილი. იქ არაფერი არ მოიპოვება. ძლიერ ცუდი მდგომარეობა შეიქნა სოფლადაც. ბევრ რაიონებში გარბიან კოლხოზებიდან. უკანასკნელ ხანებში გლეხობა აწვება დიდ ქალაქებს, სადაც ისინი ცთილობენ რაიმე სამუშაო იპოვონ.

ბევრს ლაპარაკობენ ეხლა ომის შესახებ და დარწმუნებულია ყველა მის აუცილებლობაში.

პურის ნაკლებობას ეხლა როგორც მოსკოვში, ისე სხვაგან იმით ხსნიან, რომ ბრძანებაა გაცემული დაგროვილ იქნას პურის სპეციალური ფონდი, რომელიც უნდა გაიგზავნოს შორეულ აღმოსავლეთში. ტრანსპორტის მდგომარეობა მეტათ მძიმეა. რკინის გზებზე მოძრაობა ძალზე შეფერხებულია და მატარებლები რამდენიმე საათობით იგვიანებენ. საერთოთ, კომუნისტები შიშის სულისკვეთებით არიან შეპყრობილი.

⁂

მოსკოვიდან რიგაში მიღებულ ცნობების მიხედვით ურალის სამხრეთ ნაწილში დაიწყო ჯერ იქ არ გაგონილი შიმშილობა. მცხოვრებლები სტოვებენ სოფლებს და მირბიან ქალაქებში. ხელისუფლება მეტათ შეწუხებულია, რომ მუშები სტოვებენ ურალს; ის მზათ იქნებოდა გადაეგზავნა პური დამშეულ რაიონებში, მაგრამ ამ უკანსკნელ ხანებში დიდ ძალი პური გაიტანეს იტალიაში და ამის გამო სახელმწიფო საწყობები დაცარიელებულია.

⁂

ამ ბოლო ხანებში ევროპის საზოგადოებრივი აზრი მეტათ ააღელვა იმ ბარბაროსობამ, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება სჩადის რუმინო-რუსეთის საზღვრებზე.

ეგრეთ წოდებულ მოლდავიის რესპუბლიკიდან გლეხები ასობით გარბიან და ცთილობენ გადავიდენ საზღვარზე და რუმინიას თავი შეაფარონ. უმეტესობას ამათგან საბჭოთა ჯარები საზღვარზე იჭერენ და ხოცვენ. მაგრამ ნაწილი ლტოლვილებისა მაინც ახერხებენ რუმინიის ტერიტორიაზე გადასვლას და იქ თავის შეფარებას. მათ შორის ბევრია დაჭრილი და დასახიჩრებული.

ბოლშევიკების ასეთი სიმხეცის გამო რუმინიის პარლამენტში გიორგ ბრატიანომ გასულ მარტის უკანასკნელ რიცხვებში შეიტანა შეკითხვა. ბრატიანო ეკითხებოდა მთავრობას, თუ რა ზომებს იღებდა ის, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრისათვის ემცნობებია ბოლშევიკების მიერ იმ ლტოლვილთა ხვრეტის შესახებ, რომლებიც მორბიან საბჭოთა რუსეთიდან რუმინიაშიო.

რუმინიის მთავრობის თავმჯდომარე—იორგა ბრატიანოს უპასუხებდა, რომ მისი აზრით ლტოლვილებისადმი ბოლშევიკების საქციელი ყოველგვარ ბარბაროსობას აღემატება. ჩვენ, ამბობდა იორგა, ოფიციალური დამოკიდებულება არა გვაქვს საბჭოებთანაო. ერთათ ერთი, რაც ამ მომენტში ჩვენ შეგვიძლია, არის ის, რომ ჩვენ გადავცემთ ერთა ლიგას მემორანდუმს ბოლშევიკების სიმხეცის შესახებ. შეიძლება საბჭოებმა გაიგონ, რომ ევროპიელობა

სოციალისტურ ინტერნაციონალში მისი გადმონერგვა აიხსნება უმთავრესათ თვით სოციალისტური დოქტრინის დავიწყებით, სოციალისტური ინტელიგენციის რეაქციით წინააღმდეგ მარქსიზმისა და ძველი ინტერნაციონალისა. ბაუერის მთელი არგუმენტაცია ამას ნათლათ მოწმობს. მისი აზრით. ბოლშევიკური მეურნეობის სოციალისტობის ნიშნობლივი თვისებაა სახალხო ქონების სახელმწიფოს ხელში დაგროვება. აი ეს სრულიად ახალი ამბავია სოციალისტურ აზროვნებაში. ისტორიიდან კარგათ ვიცით რომ აღმოსავლეთ სახელმწიფოებში მთელი უძრავი ქონება და ყველა მცხოვრები განუკითხავათ მთავრობის განკარგულებაში იყო (რუსეთი, ჩინეთი, ქალდეია, ოსმალეთი, სპარსეთი და სხ.). მაგრამ ეს სოციალიზმის ნაშნათ არავის გამოუყვანია დღემდის. გერმანიის სოციალდემოკრატია მუდამ ებრძოდა ომის წინ სახელმწიფოს ხელში ქონებრივი სიმდიდრის გადასვლას, ვინაიდან ეს მიაჩნდა უპასუხისმგებლო მთავრობის გამაგრებათ. საფრანგეთის სოციალისტური პარტია კი, პირიქით. მოითხოვდა წარმოების მრავალ დარგთა გასახელმწიფოებას (მაგ. რკინის გზები და სხ.), ვინაიდან ეს იქნებოდა დემოკრატიის გაძლიერება. ცხადია. სოციალიზმისათვის მისაღებია წარმოების გადაცემა არა ყოველნაირი სახელმწიფოსათვის, არამედ მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. არც კოლექტივიზაცია, ჯოხს ქვეშ მიწების ერთათ დამუშავება, ჩაითვლება სოციალიზმის ნიშნათ. ამ წესით მუშაობის მაგალითი, ძველი ქვეყნები რომ არ გავიხსენოთ, მოგვცა ახალმა ქვეყანამ, სამხრეთ ამერიკამ, სადაც პარაგვაის ბატონპატრონებმა, ისპანიის იეზუიტებმა ის შემოიღეს და კომუნიზმი ფაქტიურათ განახორციელეს. აი როგორ ასწერს ამ წყობილებას ვოლტერი:

«მთელი ხალხი მუშაობდა. თვითეული ხელობის მუშები ერთათ თავმოყრილნი ერთათ მუშაობდა, მათი თავმდგურთა ზედამხედველობის ქვეშ. რომელნიც ინიშნებოდა მთავრობის მოხელის მიერ. იეზუიტები აძლევდენ მატყლს, ტყავს, ბამბას და მცხოვრებნი ამუშავებდენ. ისინი იძლეოდენ აგრეთვე ხორბლის თესლს და ერთათ მკიდენ. მთელი მოსავალი გროვდებოდა საზოგადო მაღაზიაში»... და სხ.

პარაგვაის მეურნეობა წინამორბედია ბოლშევიკური მეურნეობის.

ამნაირათ. სოციალისტურ ეკონომიურ ელემენტათ ჩაითვლება გადაცემა სიმდიდრის მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფოსათვის, ე. ი. დემოკრატია არის დასაწყისი, წინასწარი პირობა სოციალიზმისა და არა მისი დასასრული.

მაგრამ არის დემოკრატია და დემოკრატია. მარქსიზმის რევიზიამ ამ სფეროშიაც შეიტანა აზრთა არევა. ამ არევის ნაყოფია ბაუერის ორი გზა, რომელთაგან ერთი, დემოკრატიული, სოციალისტურათ გასაღებული, უფრო გავს ბურჟუაზიულს, ხოლო მეორე, ბოლშევიკურათ წამოყენებული, უფრო გავს სოციალისტურს. სოციალიზმის გამარჯვება «დემოკრატიულათ», ე. ი. საარჩევნო ბიულეტენებით, ლეგალურათ, საიდანაც გამორიცხულია ძალა, რევოლიუცია, დიქტატურა—აი ამ წარმოდგენას არავითარი კავშირი არ აქვს სოციალისტურ დოქტრინასან. ის მოდის პაციფიური ბურჟუაზიის საშოდან. სოციალური რეჟიმის შეცვლა ასე იდილიურათ. პროლეტარიატის გამარჯვება ასე მშვიდობიანათ არის ერთი იმ უტოპიათაგანი, რომლითაც დღეს დატვირთულია ინტერნაციონალი. თუ დემოკრატიაში ჩავდებთ სოციალისტურ შინაარს, მას მოვაშორებთ ბურჟუაზიულ-პაციფიურ სამოსელს და მივსცემთ მარქსისტულს, დავინახავთ. რომ სოციალიზმისაკენ მიმავალი გზა ერთია, მართლა დემოკრატიულია, რაიცა გულისხმობს ძალას, რევოლიუციას, დიქტატურასაც.

მეცნიერებაში უდაოთაა აღიარებული, რომ რაოდენობა განსაზღვრულ რიცხვის მიღწევისას ქმნის თვისებას, ე. ი. მოვლენის ნელი, თანდათანი განვითარება აკეთებს ერთბაშათ ნახტომს, რევოლიუციას, რომლის ნაყოფი აღარ გავს მის გამომწვევ მიზეზებს. ასეა გეოლოგიაში, ასეა ისტორიაში. ამ ხაზზე დემოკრატია ნიშნავს ხალხის მოძრაობას, ორგანიზაციას. გაძლიერებას მის პოლიტიკურ ევოლიუციას, რომელიც განსაზღვრულ საფეხურზე უნდა დასრულდეს მისი გამარჯვებით, რევოლიუციით. «კერძო საკუთრების უფლებების დესპოტიური დარღვევით» (კომ. მანიფესტი). ე. ი. ძალა. პოლიტიკურათ შეკავშირებული გაბატონებული პროლეტარიატი, ხდება მომწიფებული ნაყოფის ბებია ქალათ, რომლის დაბადების შემდეგ იქმნება ახალი უფლებრივი მდგომარეობა, დარღვეული ლეგალობა ისევ აღდგება და მას ეძლევა სოციალისტური დემოკრატიის შინაარსი. ლეონ ბლუმის სხარტული გამოთქმა «ლეგალობის ვაკანსია» შეიცავს სწორეთ ამ მსვლელობის ჯაჭვის ერთ მიუცილებელ რგოლს. მაშასადამე სოციალისტური დემოკრატია თავისთავათ გულისხმობს ძალას და დიქტატურას. არ გულისხმობს მხოლოდ ტერორს. პიროვნებათა დახოცვას, ე. ი. ძალმომრეობას და თვითნებობას. ამას ხაზგასმით აღიარებს კ. მარქსი «კაპიტალის» წინასიტყვაობაში. სადაც ვკითხულობთ:

«ჩემი შეხედულობა, რომელიც ხედავს საზოგადოების ეკონომიურ ფორმაციების განვითარებაში ბუნებრივ პროცეს, ყველა სხვა შეხედულობათა ნაკლებათ ხდის პასუხის მგებელათ პიროვნებას იმ მდგომარეობისათვის, რომლის სოციალური ნაყოფი თვითონვეა».

ტერორი მაშასადამე მოდის არა მარქსისტული, არამედ ანარქისტული კონცეპციიდან, მრავალ სხვა უტოპიურ პრინციპებთან ერთათ.

ბაუერის მიერ დაპირდაპირება ძალის და დიქტატურის დემოკრატიისათვის აიხსნება მარქსისტული ნიადაგის დატოვებით და ბოლშევიკურზე გადაბარგვით. მის მიერ ამ ცნებათა დახასიათება წმინდა მოსკოურია. ის სწერს:

«რუსეთში მხოლოდ დიქტატურას შეუძლია ას მილიონიანი გლეხთა მასა აიძულოს მისცეს სასოფლო მეურნეობის ნაყოფი ქალაქის პროლეტარიატს გამოსაკვებათ. მხოლოდ დიქტატურას შეუძლია მეორე მხრით აიძულოს ქალაქის პროლეტარიატი გაიღოს მძიმე მსხვერპლი მრეწველობის შესაქმნელათ და გლეხთა მოთხოვნილებათა საკმაოთ და იაფათ დასაკმაყოფილებლათ».

აქედან აშკარაა, ეს ნანატრი დიქტატურა არ ყოფილა არც პროლეტარიატის, არც ხალხის: პირიქით, ისინი თვით გამხდარან მსხვერპლნი დიქტატორების, რომელნიც მათ ძალით აკეთებიებენ იმას რაც არ სურთ. აი ეს გაგება ძალის და დიქტატურის მართლაც ძირიანათ ეწინააღმდეგება სოციალისტურ მოძღვრებას. კომუნისტურ მანიფესტში ვრცლათ აწერილია სოციალური რევოლიუციის პირობები; პირველი პირობაა პროლეტარიატის, როგორც კლასის. პოლიტიკური გაბატონება და არა პარტიის და ჯგუფის; მეორე პირობაა. მის მხარეზე გადასვლა ხალხის დიდი უმრავლესობის. გლეხობის, წვრილბურჟუაზიის, მთელი უკმაყოფილო საზოგადოების, ბოლოს მას ემხრობა თვით გაბატონებული კლასის ერთი ნაწილიც, როგორც ეს მოხდა საფრანგეთის დიდ რევოლიუციაში, ერთი სიტყვით, «მისი მოძრაობა არის დიდი უმრავლესობის მოძრაობა დიდი უმრავლესობის სასარგებლოთ». ის უაღრესათ დემოკრატიული მოძრაობაა ფორმითაც და შინაარსითაც. მხოლოდ ამ გზით ხდება პროლეტარიატი ნაციათ. მთელი ერის ინტერესების გამომხატველათ და მატარებლათ. მარქსი მეორე ალაგას კიდევ უფრო მკაფიოთ გამოსთქვამს ამავე აზრს:

«რომ მთელი ხალხის რევოლიუცია და ბურჟუაზიული საზოგადოების ერთი კლასის ემანსიპაცია ერთათ მოხდეს, რომ ერთი კლასი წარმოადგენდეს მთელ საზოგადოებას, საჭიროა, პირიქით. მეორე კლასში იყო თავმოყრილი საზოგადოების ყველა სიდუხჭირე, ის იყოს საერთო სკანდალი, განსახიერება საერთო პროგრესის დაბრკოლების. აშკარა დანაშაულობა მთელი საზოგადოებისათვის, ისე რომ განთავისუფლება ამ კლასის ბატონობისაგან ნიშნავდეს საერთო განთავისუფლების განხორციელებას. მხოლოდ საზოგადოების საერთო უფლების სახელით შეუძლია ერთ რომელიმე კერძო კლას მოითხოვოს საზოგადო სუპრემატია» (იხ. მარქსის წინასიტყვაობა ჰეგელის უფლების ფილოსოფიისა).

აი თეორეტიული საფუძველი დემოკრატიული დიქტატურისა, აი ერთათ ერთი გზა სოციალიზმისაკენ მიმავალი. ბაუერის მეორე გზა კი სულ უბრალოა: გლეხს საჭმელი წაართვი, მუშა დაიმონე, ე. ი. შექმენი ისეთი წყობილება, რომლის წინააღმდეგ ამხედრებულია მთელი საზოგადოება და რომლის დასამორჩილებლათ საჭიროა ჩეკის ძალმომრეობა—აი ეს ყოფილა თურმე სოციალიზმის გზა! არასოდეს არც ერთ მტერს სოციალიზმისას ამაზე უარესი ბრალდება არ წამოუყენებია ჩვენთვის. ეს ფაშიზმის წისქვილის აბრუნებაა, გლეხობის, წვრილი ბურჟუაზიის და ნაწილი მუშების მის ბანაკში გადადენაა. ამის შემდეგ, რა გასაკვირალია მასის სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ ამოძრავება და სოციალისტური ლაშქარის დასუსტება.

ბაუერის ეს კონცეპცია ანგრევს რა სოციალდემოკრატიას ტაქტიკურათ და ორგანიზაციულათ, აშორებს მას ერის ფართე მასას, ამავე დროს ანგრევს მას თეორეტიულათ, დოქტრინალურათ. თუ კი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, ე. ი. საწარმოვო ძალების აღორძინება, შეიძლება გლეხობის ცარცვით. მუშების დამორჩილებით, საერთო სიღატაკით და უუფლებობით, რა უფლებით მოვითხოვთ ევროპაში ხალხის სასყიდელი ძალის გაძლიერებას, მუშის ქირის მომატებას, გლეხის ნაწარმოების მფარველობას, საერთოთ ფართე სახალხო რეფორმებს? თუ კი სიღატაკე შეიძლება იყოს წყარო საწარმოვო ძალთა განვითარების, თუ კანონი პოლიტიკური ეკონომიისა ამ დებულებას ადასტურებს, მაშინ ის სავალდებულოა როგორც სოციალური მეცნიერებისათვის, ისე პოლიტიკური პარტიებისათვის. ამ შემთხვევაში ყალბი ყოფილა საერთაშორისო მუშათა პოლიტიკა და სოციალისტური ეკონომიური მსოფლმხედველობა. ფრ. ადლერი რომელიც მთლათ არ ეთანხმება ბაუერს და სწორათ ახასიათებს საბჭოთა ეკონომიკას. როგორც პრიმიტიული დაგროვების განმეორებას[*], ეთანხმება მას მდგომარეობის დაფასებაში, ინდუსტრიალიზაციის მიმდინარეობაში და პოლიტიკურ დასკვნებში (Kampf, იანვარი). საბჭოთა მდგომარეობაში გადმოაქვს გერმანიის სოც. დემოკრატიის დამოკიდებულება ბრიუნინგის მთავრობისადმი და გვირჩევს სტალინის მთავრობის მოთმენას. მოთმენას იმ წესწყობილების რომლის წინააღმდეგაა მიმართული ხალხის დიდი უმრავლესობა. ე. ი. მასისაგან დაშორება, მისი ბრძოლის და ინტერესების უკუგდება და განმარტოვება გამოტანილია სოციალდემოკრატიის ტაქტიკათ! ეს ნიშნავს პარტიის ალაგას—სექტის წამოყენებას.

როგორც ხედავთ, ბოლშევიკური ეკონომიკა და პოლიტიკა ყირამალა ატრიალებს მთელ ჩვენ მოძღვრებას და ტაქტიკას. ჩვენ თუ წინეთ გვეგონა, რომ თავისუფალი ადამიანი მიუცილებელი აგენტია საწარმოვო ძალთა განვითარებისა, ახლა ეს აზრი დატოვებულია. თვით ბაუერი ადასტურებს ერთ და იმავე დროს რუსეთში არა-თავისუფალი შრომის არსებობას და ეკონომიურ აღორძინებას! ჩინებული გაკვეთილია ფაშისტების სასარგებლოთ. სწორეთ ამას გაიძახიან ჰიტლერის პუბლიცისტები: თავისუ-

---

[*] სწორეთ ისე როგორც ჩვენ ვახასიათებდით, «ბრძოლის ხმა» № 14.

ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ ნაწილი ტერიტორიისა ევროპის კონტინენტზე ქონდეს, არამედ აგრეთვე იმასაც, რომ პატივისცე იმ პრინციპებს, რომელიც შემოღებულია ადამიანთა საზოგადოებაში მონგოლთა შემოსევის დროიდანო.

ამასთახავე იორგამ განაცხადა, რომ რუმინიის მთავრობა გამოაქვეყნებდა პროტესტს ბოლშევიკების ასეთი საქციელის წინააღმდეგ.

მთავრობის თავმჯდომარის—იორგას შემდეგ ილაპარაკა დეპუტატმა მირესკომ. მან რუმინიის სოციალისტების სახელით განაცხადა, რომ მათ უკვე მიმართეს პროტესტით ყველა ქვეყნების სოციალისტურ პარტიებს საბჭოთა მთავრობის მიერ ჩადენილ ბარბაროსულ აქტების წინააღმდეგ.

უცხოელი მუშები რუსეთში

«ფორვერტს»-ს მისმა მოსკოველმა კორესპონდენტმა მოაწოდა საინტერესო ცნობები რუსეთში უცხოელ მუშების შესახებ.

თავის დროზე საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას მოუკიდია ხელი ამ საკითხისათვის და გამოუცია მთელი რიგი დაწვრილებითი ინსტრუქციებისა რუსების მიერ უცხოელ მუშების მოპყრობის გაუმჯობესებისა და წარმოებაში მათი უკეთ გამოყენების მიზნით. მაგრამ ცეკას ამ რჩევას ვერ მიუღწევია მიზანს. თვით საბჭოთა პრესა აღარ მალავს, რომ უცხოელების მდგომარეობა რუსეთში მეტად ცუდია; ასე მაგ., ცნობილი «ზა ინდუსტრიალიზაციუ», სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ორგანო, სრულიად აშკარათ ლაპარაკობდა «ნამდვილ ტრალედიაზე იმ უცხოელ მუშებისა, რომლებიც ჩამოსულან რუსეთში საბჭოებისათვის დახმარების გასაწევათ». ამ მუშებისადმი მტრული დამოკიდებულება არა მარტო საწარმოოს ხელმძღვანელობის, არამედ თვით რუს მუშების და ინჟინრების მხრით აშკარა შოვინისტური სიძულვილის სახეს იღებს. ხშირად გაიგონებთ რუს ინჟინრებისა და თვით მუშებისაგან, რომ მათ უცხოელები არაფრათ ესაჭიროებათ, რომ ისინი მათგან ვერაფერს სწავლობენ, რომ რუსის მუშებიც კმარან და სხვ.

ამასთანავე, უცხო მუშები რუსეთში ვერ არიან გამოყენებულნი მათთვის შესაფერ დარგში და ადგილას. აი, მაგალითად, უკრაინაში (დნიეპროპეტროვსკში) 18 მაღალ კვალიფიციური გერმანელი მონტიორი უბრალო შესაკეთებელ სამუშაოზე არიან, მაშინ როდესაც იქვე ახლოს ლოკომოტივების ქარხანაში კვალიფიციური მუშები აკლიათ. საბჭოთა პრესას გამოუქვეყნებია ერთი ამერიკელი მუშის ჩივილი, რომელიც სტალინგრადის ტრაქტორის ქარხანაში მუშაობდა: «ან მომიხმარეთ შესაფერ ადგილზე, ანდა გამიშვით სახლში; ეხლანდელ ჩემს სამუშაოს კი სულ ახალგაზდა გოგოც ჩემებრ კარგად შეასრულებსო».

ეს გარემოებანი ხელს უშლიან უცხოელ მუშების მოწვევის მთავარ მიზანს: მათი ტეხნიკური გამოცდილების რუსის მუშების მიერ შეთვისებას. რუსი ინჟინრები და მუშები მათ რჩევებს და წინადებებს ბრაზით ხვდებიან და სახეში არ იღებენ. «ყველაფერი ეს—აცხადებს «ზა ინდუსტრიალიზაციუ»—უქმნის უცხოელ მუშებს შთაბეჭდილებას რომ ისინი აქ ზედმეტი არიან, რაიცა უღვიძებს მათ სახლში დაბრუნების სურვილს».

ცუდია აგრეთვე ის მატერიალური პირობები, რომელშიც მუშებს უხდებათ ცხოვრება მაღალ ნივთიერ და კულტურულ დონეს შეჩვეულ უცხოელებს. უცხოელ მუშებს ვერ აძლევენ ზამთრისთვის სათბობ მასალას მათი ბინების გასათბობათ. ვერ ათბობენ აგრეთვე მუშათა ყაზარმებს, რომელშიაც მათ ხშირად უხდებათ ცხოვრება. განსაკუთრებით მძიმეა ოჯახობით მოსულ უცხოელ მუშების მდგომარეობა. ჯამაგირი თუ ხელფასიც ეძლევათ ხშირად სულ სხვა ანგარიშით ვინემ დაპირება ჰქონდათ. ამას გარდა, ხელფასი ეძლევათ დაგვიანებით. სანოვაგის მიწოდების მხრითაც ძლიერ ცუდათაა საქმე. უცხოელები ხშირად დიდი ხნის განმავლობაში ვერ იღებენ ვერავითარ სანოვაგეს.

ასეთი პირობები იწვევენ დიდ უკმაყოფილებას უცხოელ მუშათა შორის და სურვილს სახლში დაბრუნებისას. განსაკუთრებით უკმაყოფილო არიან ამერიკელები. ასე, მაგალ., კუზნეცკი შახტებზე მომუშავე ამერიკელ მუშებმა ჩამოსვლის შემდეგ სამ თვეში მოითხოვეს სახლში დაბრუნება, რაიცა გასაგები იქნება, როცა შევიტყობთ (რუსული წყაროებიდან), რომ ისინი იძულებული გახადეს ემუშავნათ 18 საათი, რადგან რუსი მუშები ვერ ახერხებდენ განუწყვეტლივ დამდგარ მანქანების შეკეთებას.

ხშირია აგრეთვე გერმანელ მუშების გაქცევა საბჭოთა ქვეყნებიდან...

საქართველოს ხმა ევროპაში

განიარაღების კონფერენციის თავმჯდომარეს გადასცა ხ. შავიშვილმა, საქართველოს ეროვნულ მთავრობის დელეგატმა ჟენევაში, წერილი, რომელშიც, საქართველოს მაგალითზე, დახასიათებულია საბჭოთა მთავრობის ფლიდობა და ორპირობა განიარაღების საკითხში.

«თუმცა შეიარაღებათა შემცირების და განსაზღვრის საკითხი,—იწყებს ეს დოკუმენტი—არ ისმის საქართველოსთვის, რომელიც ამჟამათ უცხო სამხედრო ოკუპაციის რეჟიმს განიცდის, ქართველი ხალხი წინანდებურათ ღრმათ თანაუგრძნობს საყოველთაო მშვიდობიანობის და თავისუფლების იდეალს და ამიტომაც მას უაღრესად აინტერესებს კონფერენციის მუშაობა და მისი შედეგი. თვით საქართველო ხომ უკვე თერთმეტი წელია არამც თუ სავსებით განიარაღებული, არამედ მონობის უღელ ქვეშ მოქცეულია».

წერილის მიზანია ფარდა ახადოს კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილ ფარისევლურ პროექტს საერთო განიარაღებისას. «მართლადაც საბჭოთა ოფიციალურ ჯარის (582 ათასი კაცი) გაუქმება არაფრით არ შეუშლიდა ხელს საბჭოთა მთავრობას ყოველგვარ საერთაშორისო კონტროლის გარეშე შეენახა და გაეძლიერებია ათჯერ უფრო მნიშვნელოვანი კადრები და შეიარაღება გეპეუსი და სამხედრო საზოგადოებებისა».

შემდეგ წერილი აღნიშნავს, რომ სწორეთ იმ დღეებში, როცა საბჭოების პირველი დელეგატი, ლიტვინოვი, წარმოსთქვამდა კონფერენციის წინაშე თავის სიტყვას სრული განიარაღების შესახებ, საბჭოთა პროფ. კავშირების საბჭო და ოსავიოხიმი უგზავნიდენ მოსკოვიდან საბჭოთა კავშირის სამხედრო საზოგადოებებს ცირკულიარულ განკარგულებას «უზრუნველჰყონ კავშირთა წევრების სამხედრო მომზადება» და აკრიფონ თანხები «საომარ პროპაგანდისა და სროლის სწავლების სასარგებლოთ» (გაზეთი «ტრუდ», 10 თებერვალი 1932 წ.).

ლიტვინოვმა განაცხადა, სხვათა შორის, თავის სიტყვაში, რომ «საბჭოთა მთავრობა თავისი არსებობის პირველ დღიდანვე გამოვიდა ერთი ერების მეორეთაგან ჩაგვრის წინააღმდეგ» და «რომ მან აღიარა თვითგამორკვევის უფლება».

«თუ მართალია—ამბობს ჩვენი მთავრობის დელეგატის დოკუმენტი—რომ საბჭოთა მთავრობამ საზეიმოთ აღიარა ეს პრინციპები, მას არასოდეს არ გაუტარებია ცხოვრებაში ისინი და მუდამ მოქმედებდა მათ წინააღმდეგ. ამის უდაო მაგალითს წარმოადგენს საქართველოს ბედი».

და დოკუმენტში მოყვანილია 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულობის პირველი მუხლი, რომელშიც პირველი აღიარებს მეორეს დამოუკიდებლობას, საზეიმოთ იღებს ვალდებულობას არასოდეს ჩაერიოს მის შინაურ საქმეებში და სხვ. ამას მოჰყვება საქართველოს დაპყრობას და დამპყრობთა მიერ მისი გაპარტახების ამბავი. ეკონომიურ განადგურებას თან მოჰყვა მოსახლეობის ფიზიკური განადგურება; ეროვნულ თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხის წინააღმდეგ უცხო მთავრობა არ ზოგავს არავითარ იარაღს და საომარ საშუალებას, რაიცა ხელს არ უშლის ლიტვინოვს განაცხადოს კონფერენციაზე:

«მას შემდეგ საბჭოთა მთავრობას არასოდეს უღალატნია სხვა ხალხებთან მშვიდობიანი და ლოიალური თანამშრომლობის პოლიტიკისათვის... მან უარჰყო ომი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაცო».

ჩვენი ეროვნული მთავრობის დელეგატი უარყოფს საბჭოთა დელეგაციის უფლებას ილაპარაკოს ქართველი ხალხის სახელით. «ჩვენ ვაცხადებთ, რომ ქართველ ერს არასოდეს აუღია ხელი თავის უზენაეს უფლებაზე თვით განაგოს თავისი ბედი, ის განაგრძობს ბრძოლას უცხო უღლისგან განთავისუფლებისათვის.

«ქართველი ხალხი მიესალმება ყოველ წინსვლას შეიარაღებათა შემცირების და განსაზღვრის გზაზე, ის ეტრფის იმ მომენტს, როცა შესაძლებელი გახდება ნამდვილი განიარაღების განხორციელება. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ განიარაღების ეს ზომები ვერ უზრუნველყოფენ წვრილი ერების ხელშეუხებლობას. მათ გასრესას მუდამ შესძლებენ ის სახელმწიფოები, რომელთ განკარგულებაშია მილიონი ადამიანები და ვეებერთელა საშვალებანი.

«რათა შესაძლებელი გახდეს ნამდვილი მშვიდობიანობის დამკვიდრება სამუდამოთ, ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია აღიარებულ იქნას შემდეგი სამი პირობა:

1) ნამდვილი ცნობა თვითგამორკვევის უფლების;

2) გადაცემა ერთა ლიგის განკარგულებაში საერთაშორისო ძალების, რათა უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ვალდებულებათა პატივისცემა;

3) შექმნა საერთაშორისო ორგანოსი, რომელიც სასტიკ კონტროლს გაუწევს თვითეულ სახელმწიფოს შეიარაღებას».

ერთა ლიგის ასოციაციათა საერთაშორისო კავშირის იურიდიული და პოლიტიკური სექცია (იურიდიულ და პოლიტიკურ საკითხთა შესასწავლი პერმანენტული კომისია) შეიკრიბა გასულ მარტში ბრიუსელში. წარმოდგენილი იყო 7 ქვეყანა.

სხვა პრობლემათა შორის დღის წესრიგში იყო საქართველოს საკითხი, რომელზედაც რეზოლიუცია წარმოადგინა შვეიცარიის ასოციაციამ. კომისიამ მიიღო ეს რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ ერთა ლიგამ უკვე რამდენიმეჯერ მიაქცია ყურადღება მდგომარეობას საქართველოში და მოუწოდებს მას განაგრძოს თავისი მუშაობა ამ მიმართულებით.

ამხ. გოგია მსხალაძე

(იშვიათი მებრძოლის და ამხანაგის ხსოვნას)

გასულ წელს, ივნისის ბოლო რიცხვებში, მიწას მიაბარეს ამხ. გოგია მსხალაძის გვამი. ჩვენმა ორგანიზაციებმა დაჰკარგა მასში ერთ-ერთი საუკეთესო ახალგაზდა, რომელმაც მთელი თავისი პირადი ცხოვრება ანაცვალა ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლას.

ჩეკის ცივი, ნესტიანი სარდაფები, ცემა-ტყეპა და მთელი კვირაობით შიმშილი, ორი თუ სამი წელი მძიმე პირობები არალეგალური ცხოვრებისა, ისევ ჩეკა და ციხე და გაათკეცებული ტანჯვა-წამება—აი რა შინაარსი მისცა ბედმა გოგიას ხანმოკლე სიცოცხლეს.

გაბოროტებულ ბოლშევიკების მხეცურ მეთოდებს წამებისას ამხ. გოგია იშვიათი სულიერი სიმტკიცით ხვდებოდა... არც ერთი სიტყვა ჩეკის სასარგებლოთ.

წარმოიდგინეთ პატიმარი, სიმშილისა და ცემისაგან დასუსტებული, ტანზე გახდილი და ფეხით თავდაღმა დაკიდებული, რამდენიმე ალაგას სწვავენ ანთებული პაპიროსით, და ამ ბარბაროსული წამების შემდეგაც მაშინ სრულიად ახალგაზდა გოგია მსხალაძე, გამობრძმედილი მებრძოლისებურათ ხვდება ჩეკის რეპრესიებს და მით ღირსეულათ იცავს წესს მებრძოლის მიერ საიდუმლოების შენახვისას. სულით ვერ გასტეხეს გოგია, მაგრამ ცხოვრების აუტანელმა პირობებმა გაანადგურა ის ფიზიკურათ. 1918 წლიდან დაავადმყოფდა ფილტვების, ნაწლევების და ყელის ჭლექით; მიუხედავად ამისა საპატიმროში გააჩერეს.. 1929 წლის ივნისში განთავისუფლეს მძიმე ავადმყოფი და მისცეს ერთი თვის ვადა, რომ გადასახლებულიყო რუსეთის ერთ-ერთ შორეულ პროვინციაში. სრულდება ერთი თვე, ავადმყოფი გოგია ითხოვს ვადის გაგრძლებას. მაგრამ ჩეკა აბრალებს მას, თითქოს სურვილი ქონდა მოეწყო არალეგალური ორგანიზაციები და გაპარულიყო საზღვარგარეთ, რის გამოც მას ხელახლა აპატიმრებს ოზურგეთის პოლიტსამართველო და ორი თვის შემდეგ აგზავნის მეტეხის ციხეში. გოგიას ავათმყოფობა კიდევ მეტად გართულდა, ის ლოგინად ჩავარდა, მაგრამ არ გაანთავისუფლეს მანამ, სანამ, სიკვდილმა წაუშლელი დაღი არ დააკრა ავათმყოფს: მაშინ როგორც იქნა გაანთავისუფლეს, 1921 წ. ივნისის შუა რიცხვებში. ათი დღის შემდეგ დალია სული...

დღეს მივიწყებულ მებრძოლის საფლავს განთავისუფლებული ხალხი ინახულებს და ცივ სამარესთან მაინც იტყვის იმ სიტყვებს, რომელიც გოგიას კუბოსთან უნდა ეთქვა...

გ. ა—მღრძე.

თფილისი.

ამხ. დათიკო ქორიძე

გასულ წელს გაზაფხულზე აუტანელი ტანჯვის შემდეგ დ. ხიდისთავში (გურია) გარდაიცვალა ამხ. დათიკო ქორიძე. ეღირსა დასასრული მის განაწამებ სიცოცხლეს. განა რამდენი ასეთი დათიკო შეეწირა ბრძოლას ჩვენი წმინდა საქმისთვის, განა რამდენ აგზნებული გული გაიგმირა რუსეთის წითელი ხიშტებით. ვის შეუძლია ამის დათვლა!

მუდმივი დევნის შემდეგ, ამხ. დათიკო იძულებული შეიქნა დაეტოვებია გურია. ის მსახურებდა მასწავლებლათ ხან ერწოში, ხან თიანეთში და სხვა ადგილებში, მაგრამ ის მაინც მთელის ენერგიით იბრძოდა აღვირწახსნილი ბოლშევიზმის წინააღმდეგ, ის მაინც მტკიცედ იდგა ჩვენი პარტიის რიგებში. 1927 წელს მას აპატიმრებენ ავჭალაში. ტფილისის ჩეკის სარდაფში ხანგრძლივი წამების შემდეგ—მას დაავათმყოფებულს და დასუსტებულს ასახლებენ ქ. კრასნოკოკშაისკში. ჩრდილოეთის მკაცრმა ბუნებამ კიდევ უფრო დაასნეულა ამხ. დათიკოს ორგანიზმი, მას გაუჩნდა ჭლექი. 1930 წლის შემოდგომაზე ეს სიკვდილის პირას მისული ადამიანი გაანთავისუფლეს გადასახლებიდან, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ნათესავებმა იგი ცოცხალ—მკვდარი ჩამოიყვანეს თავის სოფელში. ლოგინად ჩავარდნილი ამხ. დათიკო, რომელსაც ლაპარაკიც კი უჭირდა—უკანასკნელ წყევლა კრულვას უგზავნიდა ვერაგ მტრებს.

1931 წლის გაზაფხულზე, მან სამუდამოთ დახუჭა თვალები, დასტოვა თავისი წმინდა საქმე. ჭლექით დაცრეცილი მისი სხეული ჩაუშვეს საუკუნო სამარეში. მას თან ჩაჰყვა მეზობლებისა და ამხანაგების ყრუ გმინვა და გამწარებული დედის გმირული ამოძახილი: ჩემო ერთად ერთო შვილო! შენ არ ხარ მკვდარი, მოკვდა მხოლოდ ის, ვინც ხორცის შენარჩუნებისათვის სული მტარვალს ჩააბარა». აი, ქართველი დედის მკვეთრი სიტყვა დაღუპული შვილის კუბოსთან.

ამხ. დათიკო ქორიძე აღარ არის ჩვენი პარტიის რიგებში, მას ხურავს მიწის ცივი სუდარა, მაგრამ მისი გაუტეხელი სული თავს დაგვტრიალებს და მოგვიწოდებს შეურიგებელ ბრძოლისაკენ.

ამხანაგი.

გურია.

ქართველ მშობელთა საყურადღებოთ!

ა. წ. თებერვლის 4-ს ქართული ბიბლიოთეკის შენობაში (5, Villa d'Orléans, მეტრო Alesia) ნაშუადღ. სრულ 5 ნახ. ს. ქართველ ბავშებს დაეწყებათ მეცადინეობა ქართულ ენაში, სრულიათ უსასყიდლოთ.

მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ორჯერ:
ხუთშაბათობით 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე.
კვირაობით 4 საათ. 5 საათამდე.
მეცადინეობას ხელმძღვანელ. დ. ხარისჭირაშვილი.

მოწაფეთა წინასწარი ჩაწერა შეიძლება—ბიბლიოთეკაში ყოველ დღე საღ. 8 საათიდან 10 საათამდე.

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად
საქართველოს ისტორია
მოკლე მიმოხილვა
უძველეს დროიდან 26 მაისამდე.
დავით აღმაშენებელის, თამარ მეფის, შ. რუსთველის
და ერეკლე მეორის პორტრეტებით.
გამოცემა «დამოუკიდებელ საქართველოსა».
ფასი ხუთი ფრანკი.

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r OURATADZE
10, rue Jules Ferry, Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

ფლების გაუქმება წინასწარი პირობაა ეკონომიური აღორძიმებისო. ხდება კი მართლა რუსეთში ეს აღორძინება? მართალია იქ შენდება მრავალი საწარმოვო შენობები, იდგმება უცხოეთიდან მოტანილი მანქანები, ერთი სიტყვით მონების ქვეყანაში შენდება პირამიდები, ბლიუმის სიტყვით რომ ვთქვათ, მაგრამ ნიშნავს ეს საწარმოვო ძალთა განვითარებას, შრომის განაყოფიერებას, საქონლის საკმაოთ დამზადებას, ბაზრის სახმარი ხივთებით გავსებას? არაფერი ამის მსგავსი, არც ერთი ეს მოვლენა არ ხდება, პირიქით, უსაქონლობა, შიმშილი, ჩაუცმელობა, დაუხურაობა, უბინაობა დღითი დღე მატულობს და ძლიერდება.

არ შეიძლება ლაპარაკი შრომის განაყოფიერებაზე იქ, სადაც წარმოების თვითღირებულება მატულობს. ამას მოწმობს საბჭოთა ეკონომიკის მეთაური ორჯონიკიძე. აი რა თქვა მან უკანასკნელ პარტიულ კონფერენციაზე:

«მე უკვე ვთქვი, რომ თვითღირებულებამ დაწევის მაგიერ აიწია. მართალია არა ყველა წარმოების დარგმა გაადიდა თვითღირებულება, არიან ისეთები, რომელთაც კიდევაც დასწიეს. მაგრამ თუ ავიღებთ საერთოთ მთელ მრეწველობას, მომატება დაკლების მაგიერ იხატება 3,7 პროცენტით. მსხვილ მრეწველობაში ის აღწევს 5,5 პრ., მსუბუქში 1,95 პროც.... ამხანაგებო ასე მუშაობა არ შეიძლება. თუ მრეწველობა პირველ ხუთ წლიანობას იღებდა დოტაციებს, 1932 წ. და მეორე ხუთწლის მრეწველობამ უნდა მიიღოს დიდი მონაწილეობა დაგროვებაში შემდეგი განვითარებისათვის... რატომ მუშებმა თავის სოც. სამშობლოში უნდა იმუშაონ უარესათ, ვინემ ევროპის და ამერიკის მუშებმა კაპიტალისტებისათვის» («იზვესტია», 2 თებერ. 1932).

დამონებული მუშა არ მუშაობს ისე ნაყოფიერათ «სოციალისტურ სამოთხეში», როგორათაც თავისუფალი მუშა «კაპიტალისტურ ჯოჯოხეთში». ამით აიხსნება საბჭოთა საგარეო აღებ-მიცემობის უკან დაქანება ძველ რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან შედარებით. მაგ. 1913 წ. რუსეთს გაქონდა საქონელი 750 მილ. დოლარის, 1930 წ. კი გაიტანა 500 მილ. დოლ. წინეთ მისი მონაწილეობა მსოფლიო ექსპორტში უდრიდა 4,1 პროც., ახლა კი უდრის 1,4 პროც. შრომის ყველა დარგში ნაყოფიერება დღეს გაცილებით უფრო დაბალია, ვინემ ეს იყო ომის წინა დროს რუსეთში, მაშინ როდესაც მთელ მსოფლიოში ის მეტათ გაიზარდა სწორეთ ომის შემდეგ. ამით აიხსნება საყოველთაოთ ცნობილი მოვლენა—ეკონომიური კრიზისი საბჭოთა ქვეყნებში, როგორც შედეგი შრომის განუვითარებლობის და აქედან საქონლის ნაკლებობის, იგივე კრიზისი მსოფლიოში, როგორც შედეგი შრომის განაყოფიერებისა და საქონლის ზედმეტი დამზადებისა.

მთელი ეს საბჭოთა ეკონომიური უძლურება აიხსნება იქ გამეფებული სისტემით: პრიმიტიული დაგროვების წესებით, წესებით გლეხობის ცარცვისა და მუშების დაყმობისა; ეს წესები კაპიტალიზმის დასაწყისში, შედარებით წინადროის ფეოდალურ-ამქრული წესებისა, უეჭველია შეადგენდა ეკონომიურ აუცილებლობას საწარმოვო აღორძინებისათვის. მაგრამ დღეს, მეოცე საუკუნეში, შედარებით თანამედროვე მექანიკური და ფინანსიური ძლიერებისა, იმავე პრიმიტიულ წესების შემოღება არის უდიდესი ეკონომიური რეაქცია, რაიცა კი ოდესმე კაცობრიობას მოსწრებია. აი ამ რეაქციაში ჩაფლულია დღეს საბჭოთა ქვეყნები და ეს სოციალისტურ ამშენებლობათ გამოაქვს სოციალისტურ ინტერნაციონალის მეთაურთ! აზრთა ასეთი არევა ინტერნაციონალის ისტორიამ არ იცის.

დასკვნები. პირველ ინტერნაციონალში შეიჭრა უტოპიური სოციალიზმი ბაკუნინის მეთაურობით და დაანგრია იგი ორგანიზაციულათ, ვერ დაანგრია იდეიურათ. ომის შემდეგ მეორე ინტერნაციონალში შემოიჭრა იგივე უტოპიზმი ლენინის მეთაურობით, ორგანიზაციულათ ის ვერ დაანგრია, მაგრამ შეარყია იდეიურათ, შეარყია მისი დოქტრინა, დააძაბუნა მისი მსოფლმხედველობა და თავისი უტოპიური ცრუმორწმუნოებანი სოციალიზმის დროშით შთააგონა მასას. აქედან დაიბადა გაროღვევა სოციალისტური პოლიტიკის და აზროვნების სოციალისტურ მსოფლმხედველობისაგან. საერთაშორისო პაციფიზმის საშინაო სახელმძღვანელოთ გამოტანა, ბურჟუაზიული დემოკრატიზმის სოციალისტურ დემოკრატიზმათ გასაღება, უკმაყოფილო მასების იდეიურ ჩიხში მომწყვდევა, მისთვის ნათელი გზის და სალი პერსპექტივების მიუცემლობა და ბოლოს ამავე მასების სოციალდემოკრატიის წინააღმდეგ ამოძრავება. ხალხი ყოველგან მას მისდევდა და მან ამ ხალხს ვერ მოუარა. მივიღეთ უმაგალითო მდგომარეობა: სოციალიზმი იძულებულია იბრძოლოს არა სოციალიზმისათვის, არამედ ფიზიკური არსებობისათვის! მას ყოველი მხრიდან ემუქრებიან წალეკვით. გამოსავალი ერთათ-ერთია: რევიზიონიზმის შეჩერება, დაბრუნება ომის წინა დროის ინტერნაციონალისაკენ, ძველი კლასიკური სოციალიზმისაკენ, მისი მსოფლმხედველობის, მისი დოქტრინის, მისი ტაქტიკისაკენ. ერთი სიტყვით ინტერნაციონალის შუაგულში უნდა ფრიალებდეს ბებელის, ჟორესის, გედის და კაუცკის დროშა. ეს დროშა აღადგენს კლასიკურ სოციალიზმს თავის უფლებებში, შეიტანს სისტემას სოციალისტურ აზროვნებაში და მით თავს მოუყრის გაფანტულ არმიას სოციალიზმისას თავის საფარველს ქვეშ...

ნ. ჟ.

Arpajon— Imprimerie de *La Gazettede Seine-et-Oise.*

Le Gérant ; René Toussaint.